# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 6 იანვარი, 2007 წელი.

№ 2 (5603)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს!



**საზეიმოდ გუგუნებენ საშობაო ზარები. თითქო, ანგელოზთა ზეციური გალობაც ისმის. აღგიტაცებს, სასოებით აღგავსებს უფლის სადიდებელი საგალობლები, ტროპარები და კონდაკები, ლოცვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ, კაცობრიობას მაცხოვარი რომ მოუვლინა! მთელი სამყარო განიშვებს, უღალადებს იესო ქრისტეს შობას...**

ამ მსოფლიო ჰარმონიაში, თითქოსდა, ოდნავი დისონანსი შემოაქვს განსხვავებას შობის თარიღებს შორის, მაგრამ დიადი, საუკუნეებში რუდუნებით გამოტარებული ცნება – „მარადიული შობა“ წარხოცავს 13-დღიან სხვაობას და მხოლოდ ზეციურ წელთაღრიცხვას აღიარებს.

დგება ჟამი, როცა უკუგდებულია ყოველგვარი ცრურწმენა, კონსერვატიზმი, ლაღდება და ზეობს სული. ძირეული სულიერი ჭეშმარიტება ყოველდღიურობას ერწყმის, დაიძლევა უფლისკენ, საკუთარი თავის ძიებისკენ მიმართულ გზაზე არსებული წინააღმდეგობები... სამყაროს სხვა თვალით დანახვის, ყოველდღიური რუტინის იესოს სწავლების სიბრძნითა და მისი ცნებებით გაკეთილშობილების ძალი შეგვწევს.

შობის დღესასწაული ქრისტეს შემეცნების ჩვენშივე გამოვლინებაა. ყოველი ადამიანისთვის, რომელი რელიგიის მიმდევარიც უნდა იყოს, უმნიშვნელოვანესია შეიგრძნოს ქრისტეშობა.

ყოველი დღე ქრისტეშობაა. დიახ, ყოველი დღე შობაა, რადგან მაცხოვრის ხორციელად მოვლინება, რაც ორი ათას წელზე მეტი ხნის წინათ მოხდა, იქიდან მოკიდებული, ყოველწლიურად, ყოველდღიურად ავლენს თავს.

მაშ, ჭეშმარიტად ჰყვარებია შემოქმედს ადამიანთა მოდგმა, სხვაგვარად ხომ არ მოგვცემდა ძეს თვისას უსაყვარლესს, რათა მას თავისი ვნებით კაცობრიობის ცოდვები გამოესყიდა.

შობა მარადიულია. იგი ისე ირეკლება ჩვენს სულებში, ვითარცა სარკეში. ხომ გვმოძღვრავს კიდეც მაცხოვარი, ცათა სასუფეველი ყოველ თქვენგანშიაო.

უფლის სასუფეველი ღვთის ცნობიერებაა. როცა ღმერთის სასუფევლის რეალობას შეიგრძნობთ, აღმოაჩენთ, რომ იგი სასწაულებრივი კოსმიური ნიშატია, რომელიც განუზომლად მაღლა დგას ადამიანურ ვნებებზე, რომელიც გვზრდის, გვმოძღვრავს იქამდე, ვიდრე ქრისტესეულად აზროვნებას ვისწავლით, ვიდრე გავთავისუფლდებით მიწიერი მანკიერებებისაგან... აი, ღმერთკაცობის სათავე.

სასუფევლის კარის გაღების ნება რომ მოგვეცეს, რათა უდიდესი საიდუმლოება ვიხილოთ, მრავალი ჩვენგანი მყისვე მოინდომებდა საკუთარი თავის დასჯას პირველი უკეთური აზრის გამო. ასე ირჯებიან წმინდანები. ისინი გვაფრთხილებენ, ფხიზლად მოვეკიდოთ ყოველ ჩვენს აზრს, სიტყვას, საქციელს. განგვაშორებენ ამპარტავნობას, სიცრუეს, გულცივობას, მოყვასის სატკივარის არად ჩაგდებას; გვასწავლიან, ვიყოთ გულისხმიერნი, თავმდაბალნი, შემდოგნი, უანგარონი...

მაშ, მოდით ახლავე, აქვე ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც, თქვენი აზრით, იფიქრებდა და მოიქცეოდა იესო ქრისტე.

შობას გილოცავთ!

**ვლადიმერ აბულაძე**


## ისევ საბჭოთა დივერსიული სტერეოტიპების ტყვეობაში 4-5



## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება 2




● პრობლემა აქ მხოლოდ საფასურის სხვაობაში არ არის, ეს საკითხი გაზის მოწოდების სტაბილურობასა და მომწოდებლის პოლიტიკურ კაპრიზებს უკავშირდება. ჩვენთვის ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკური გუნება-განწყობილების მიხედვით წარმოება ყოვლად მიუღებელია





◎ პრეზიდენტი

## ზოგი ჭირი მარგებელია

**საქართველო რუსეთს ეკონომიკური სანქციების გატარებისთვის მადლობას გადაუხდის, – ამის შესახებ, უკრაინული სააგენტოების ცნობით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვიქტორ იუშჩენკოსთან მეგობრული ვიზიტის დროს განაცხადა.**



– 2006 წელს რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ სრული ემბარგო დააწესა და ქართული წარმოშობის მოქალაქეების გასახლება დაიწყო. მე არ ვხუმრობდი, როდესაც რუსეთს ამ ეკონომიკური ზომების გამო მადლობას ვუხდიდი, რადგან მან „აიძულა“ ჩვენი მეწარმეები, უფრო კონკურენტუნარიანი და კარგი პროდუქცია გამოეშვათ, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის თქმით, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებენ, კერძოდ, გასულ წელს 10-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, ამასთანავე, ანტიქართული პროპაგანდის მიუხედავად, ქვეყანაში სერიოზული უცხოური ინვესტიციებიც ჩაიდო.

– ჩვენ გვსურდა, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობები დაგვემყარებინა, მაგრამ ეს ორმხრივ სურვილზეა დამოკიდებული. რუსეთმა გაგვიზარდა გაზის საფასური, თუმცა საქართველო უახლოეს მომავალში მთლიანად აზერბაიჯანული გაზის იმპორტზე გადავა. პრობლემა აქ მხოლოდ საფასურის სხვაობაში არ არის, ეს საკითხი გაზის მოწოდების სტაბილურობასა და მომწოდებლის პოლიტიკურ კაპრიზებს უკავშირდება. ჩვენთვის ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკური გუნება-განწყობილების მიხედვით წარმოება ყოვლად მიუღებელია, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი იმედოვნებს, რომ აღნიშნული პრობლემები გადაიჭრება და მოწესრიგდება.

**ინტერპრესნიუსი**

◎ შეშფოთება

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის სინანულს და გაკვირვებას იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლობები საქართველოში არ აძლევენ ადეკვატურ შეფასებას რუსეთის აშკარად მტრულ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ, რომელმაც მხარი დაუჭირა სეპარატისტთა პოზიციას, რაც სრულიად შეუთავსებელია რუსეთის სამშვიდობო მისიასთან და თავს ვალდებულად მიიჩნევს**

**გ ა ნ ა ც ხ ა დ ო ს :**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შეშფოთებულია რუსეთის პოლიტიკური ელიტის, მათ შორის რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის და მიმდინარე ეტაპზე გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ვიტალი ჩურკინის ნეგატიური შეფასებების გამო საქართველოს მხრიდან გაეროს უშიშროების საბჭოზე 2006 წ. 13 ოქტომბერს მიღებული სრულიად არაობიექტური, რუსეთის ზეწოლით მიღებული რეზოლუციის შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. სწორედ ამ რეზოლუციაში მოცემული შეფასებები 2006 წლის მაისის თვეში კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გახდა აფხაზ სეპარატისტთა და მათი დამქაშების მხრიდან მორიგი ამბიციური ნაბიჯების და ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლის, საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი სამხედრო საფრთხის შესახებ ახალი ანტიქართული ისტერიის ატეხვის საბაბი. გვინდა შევახსენოთ გაეროში ბატონ ვიტალი ჩურკინს, რომ მიუხედავად რუსეთის ისტერიული ანტიქართული განგაშისა კოდორის ხეობიდან მოსალოდნელი სამხედრო პროვოკაციის შესახებ, ხეობაში სრული სიმშვიდეა და მიმდინარეობს არნახული აღმშენებლობის პროცესები, ჩატარდა ადგილობრივი საკრებულოს არჩევნები და 2006 წლის მაისის თვეში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ არ ჩადენილა არც ერთი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც ვერ ვიტყვით გალის რაიონის შესახებ, სადაც სამშვიდობო ოპერაციის უსაფრთხოების ზონაში, სამშვიდობო კონტინგენტის საგუშაგოების უშუალო სიახლოვეს მიმდინარეობს გავლენის სფეროების გადანაწილებასთან დაკავშირებული კრიმინალური გარჩევები უკანონო ბანდფორმირებებსა და ე.წ. აფხაზური პოლიციის წარმომადგენლებს შორის, რასაც ბოლო პერიოდში შეეწირა ე.წ. აფხაზური პოლიციის რამდენიმე მაღალჩინოსანი და კრიმინალური ავტორიტეტი, რაც მიზანმიმართულად იქნა გამოყენებული ადგილობრივი ქართული მოსახლეობის დაწიოკებების, დაყაჩაღების საბაბად. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ სისხლიან პროვოკაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის კაზაკთა შეიარაღებული ფორმირებები, სამშვიდობო კონტინგენტის პერსონალი და სამხედრო ტექნიკა. ყოველივე ეს გვიმტკიცებს ეჭვებს, რომ სიტუაციის დაძაბვა კონფლიქტის ზონაში ხელს აძლევს აფხაზური სეპარატიზმის მთავარ შემოქმედს – რუსეთის ფედერაციას, და მოსალოდნელია 24 იანვრამდე კონფლიქტის ზონაში სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა, რათა შეიქმნას ნეგატიური ფონი აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის შესახებ საკითხის გაეროს უშიშროების საბჭოზე დაგეგმილი განხილვის წინ, რაც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს გაეროს უშიშროების საბჭოს მორიგ რეზოლუციას.

ჩვენ მივმართავთ საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების საელჩოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და, განსაკუთრებით, გაეროს წარმომადგენლებს, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, ობიექტურად შეაფასონ კონფლიქტის ზონაში მიმდინარე პროცესები, რათა არ მოხდეს მსოფლიო საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, და რუსეთის ფედერაციის თავმჯდომარეობის პერიოდში, მიკერძოებული, არაობიექტური რეზოლუციის მიღება, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს და გაართულებს არსებულ ჩიხურ სიტუაციას ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.

**თემურ მჟავია,**
**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**

◎ ალმა მატერი

## ერთადერთი კანდიდატი ერთხმად აირჩიეს

**გუშინ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რექტორის არჩევნები გაიმართა. რექტორის თანამდებობაზე პრეტენზიას მხოლოდ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გია ხუბუა აცხადებდა.**

უნივერსიტეტის რექტორატის 12-წევრიანი აკადემიური საბჭო რექტორს ფარული კენჭისყრით ოთხი წლის ვადით ირჩევს. კენჭისყრამდე საჯაროდ მოისმინეს კანდიდატის სამოქმედო გეგმა, რომელსაც ისინი წინასწარ გაეცნენ.

როგორც აკადემიური საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა: რექტორის არჩევისას შეფასების ძირითადი კრიტერიუმები სამოქმედო გეგმა, სამეცნიერო ბიოგრაფია და სრული პროფესორობის დამადასტურებელი მოწმობა უნდა ყოფილიყო. მანვე აღნიშნა, რომ აქამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევა ხელისუფლების უშუალო ჩარევით ხდებოდა. კერძოდ, რექტორს უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო



ირჩევდა, რომელიც აუცილებლად ამავე საბჭოს წევრი უნდა ყოფილიყო. შემდეგ მას ცეკას პირველი მდივანი, პოსტსაბჭოურ პერიოდში კი პრეზიდენტი ამტკიცებდა. უნივერსიტეტის ისტორიაში ხელისუფლების ჩაურევლად დღემდე მხოლოდ ორი რექტორი: პეტრე მელიქიშვილი და ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს.

გუშინდელ არჩევნებში არ მონაწილეობდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ტარიელ ფუტკარაძე.** მან საკუთარი კანდიდატურა გუშინწინ მოხსნა, რის მიზეზადაც კანდიდატის სამოქმედო გეგმის შეფასების კრიტერიუმების არარ-



სებობა დაასახელა (ამ ფაქტს ჩვენი გაზეთიც გამოეხმაურაძ.

ტარიელ ფუტკარაძის განცხადებით, განათლების შესახებ კანონი და მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს დებულება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ რექტორობის კანდიდატის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ამდენად, გუშინდელ არჩევნებში რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, პროფესორ **გია ხუბუას** კონკურენტი აღარ ჰყავდა.

არჩევნებამდე მან განაცხადა, რომ ალტერნატიული კანდიდატის არარსებობის პირობებში არჩევნებს აზრი მაინც ექნება, მისთვის მნიშვნელობა არ აქვს მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას ტარიელ ფუტკარაძე. – ჩემი გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, მივიღებ თუ არა აკადემიური საბჭოს ხმათა უმრავლესობას, ანუ 7 წევრის მხარდაჭერას. შეიძლება ყველანაირი შედეგი ვივარაუდოთ, მათ შორის ისიც, რომ მე აკადემიური საბჭოს უმრავლესობამ მხარი არ დამიჭიროს და ვერ გავიმარჯვო, – თქვა გია ხუბუამ.

სამოქმედო გეგმის პრეზენტაციის შემდეგ, ბატონმა გია ხუბუამ უპასუხა საბჭოს წევრების შეკითხვებს. შემდეგ გაიმართა არჩევნები: საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში იყო 7 წევრი – ყველა ფაკულტეტის თითო წარმომადგენელი და სტუდენტთა თვითმმართველობის ერთი წევრი.

არჩევნებს და საარჩევნო კომისიის აქტის შედგენას დაახლოებით ერთი საათი დასჭირდა. მას შემდეგ, კომისიის მდივანმა **მაკა ძამუკაშვილმა** გამოაცხადა არჩევნების შედეგები: **გია ხუბუა რექტორად ერთხმად აირჩიეს!**

**გამარჯვებას ვულოცავთ ახალ რექტორს და უნივერსიტეტის, ქართული მეცნიერების სასიკეთოდ წარმატებებს ვუსურვებთ.**

**ბელა დურგლიშვილი**

◎ კონფლიქტის ზონა

## მოსკოვის ფავორიტი კვლავ ხაჯინბაა

**4 მარტს აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული. მოსკოვის არჩევანი ცნობილია – მისი ფავორიტი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯინბაა. ეს ჯერ კიდევ აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებისას იგრძნობოდა. თუმცა, მაშინ პუტინის დადებულმა ფსონმა არ გაამართლა და რუსეთიც რევანშისთვის ემზადება. სავარაუდოა, ბაღაფშის მიმართ მოსკოვის ნდობის შესუსტება მისმა ენერგეტიკულმა ბიზნესმაც განაპირობა.**

„ენერგეტიკის სფეროში ბიზნესმა ბაღაფშს საშუალება მისცა საქართველოსთან მეტ-ნაკლებად ადამიანური ურთიერთობები დაემყარებინა, რაც, ცხადია, რუსეთისთვის მიუღებელია. „გარდა ამისა, რუსეთის „გრუს“ პოზიციები



ამა თუ იმ პიროვნების მიმართ მკაცრ მოთხოვნებს ეყრდნობა და ასეთი სიმკაცრე თავისთავად ბაღაფშის მიმართაც ხორციელდება“, – აღნიშნავს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია.

აფხაზეთში დეპუტატობის მანდატებს ვერ იყოფენ. ერთ-ერთი ვერსიით, საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობის მოსაპოვებლად რაულ ხაჯინბა სერგეი ბაღაფშს დაუპირისპირდა. ხაჯინბამ, გარდა იმისა, რომ მოსკოვის ფავორიტია, ვეტერან მეომართა კავშირის „ამცახარას“ წევრთა გადაბირებაც შეძლო. პირველი დარტყმა ბაღაფშის გუნდს ტურანბას ლიკვიდაციით მიაყენეს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ტურანბას წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტი სწორედ აფხაზურ კლანებს შორის დაპირისპირების შედეგია.

სერგეი ბაღაფში იძულებულია სომხურ დიასპორას დაეყრდნოს, რომელიც აფხაზეთში, ფაქტობრივად, ყველა ეკონომიკურ ბერკეტს ფლობს, ანუ აფხაზურ კლანებს შორის ბრძოლაში სომხური დიასპორაც ჩაერთო.

აფხაზეთში, სხვადასხვა მონაცემით, 60-დან-80 ათასამდე სომეხი ცხოვრობს. 35-წევრიან აფხაზურ პარლამენტში სომხები ხუთკაციან კვოტას მოითხოვენ. აქამდე მათი სამი მანდატი ჰქონდათ. მანდატების ხუთამდე გაზრდის მოთხოვნა უკვე წამოაყენა აფხაზური პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა, ამჟამად ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გალუსტ ტრაპიზონიანმა.

ზოგი ექსპერტის აზრით, თუ სომხურმა დიასპორამ ბაღაფშის მხარდაჭერაზე უარი არა თქვა, შესაძლოა, აფხაზეთიდან სომეხთა გამოდევნა დაიწყოს.

**როგორც ითქვა, საპარლამენტო არჩევნები აფხაზეთში 4 მარტს არის დანიშნული, მანამ კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უნდა გაიმართოს. უკვე დაკომპლექტებულია ცესკო 15 კაცის შემადგენლობით. კანდიდატთა რეგისტრაცია უახლოეს მომავალში დაიწყება.**

**მზია გელენავა**

● „ქართული დიპლომატია საერთაშორისო ასპარეზზე კარგა მოიკოჭლებს და ჩვენი წარუმატებლობანი ხშირად საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალზე სუსტი მუშაობის შედეგია“



◉ პოლიტიკა

# რა იქნება? ნუთუ, მხოლოდ დებატები დებატებისთვის?

## კოზაკივით რომ არ გავიჭყლიტოთ

**21 იანვარს ევროსაბჭოში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე დებატებია დაგეგმილი, ხოლო 24-ში – გაეროს უშიშროების საბჭო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკითხს განიხილავს. სხდომაზე კონფლიქტების ზონაში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი წაიკითხავს მოხსენებას.**

რუსეთს არ მოსწონს, რომ საქართველო არ ასრულებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შემოდგომაზე მიღებულ რეზოლუციას. უშიშროების საბჭომ სწორედ რეზოლუციის რუსეთის შემოთავაზებული ვარიანტი მიიღო, რის თანახმადაც, საქართველოს ზემო აფხაზეთიდან ჯარების გამოყვანა და „სამხედრო რიტორიკისა და პროვოკაციული ქმედებებისგან“ თავის შეკავება ევალება.

ასე რომ, ევროსაბჭო და გაერო თითქმის ერთდროულად გვპირდება საგულისხმო დებატებს. ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი ყურადღებით არ მიიჩნევს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას – რაც გინდა ილაპარაკონ, ვერას გვავნებენო, მაგრამ პოლიტოლოგთა ნაწილის აზრით, ეს ძალზე სერიოზული დოკუმენტია და, თუ მსგავსი რეზოლუციები სხვა ქვეყნების, თუნდაც ისრაელის მიმართ არ სრულდება, საქართველოსთვის ის მხოლოდ ქაღალდზე ნამდვილად არ დარჩება.

1 იანვრიდან რუსეთი ხომ გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა და უკვე იგი აყენებს ამ დოკუმენტის განხილვის საკითხს, ანუ იმას, თუ რამდენად სრულდება იგი. ამიტომ, ბუნებრივია, უშიშროების საბჭო ძალზე სერიოზულად მიუდგება ამ თემას, რადგან თავმჯდომარე ქვეყანა მოითხოვს ამას.

პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილიც ერთობ სერიოზულად უდგება ამ რეზოლუციის განხილვას. მისი აზრით, ევროსაბჭო



მნიშვნელობით გაეროზე საგრძნობლად დაბალი ორგანოა და, თუ ზოგიერთი პოლიტიკოსი გაეროს რეზოლუციას არად მიიჩნევს, მაშინ ამ ფონზე ევროსაბჭოს დებატებიც უფერულდება.

პოლიტოლოგს ევროსაბჭოს იმედი უფრო აქვს, რადგანაც ეს ორგანიზაცია საქართველოს მიმართ სიმპათიითაა განწყობილი. ამიტომ შეიძლებოდა ქართულ დიპლომატიას ასეთი დამოკიდებულება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. მაგრამ ეჭვობს, რომ მან ეს შეძლოს, რადგან „ქართული დიპლომატია საერთაშორისო ასპარეზზე კარგა მოიკოჭლებს და ჩვენი წარუმატებლობანი ხშირად საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალზე სუსტი მუშაობის შედეგია“.

ასე რომ, იანვრის ბოლოს ორი საერთაშორისო მნიშვნელობის საქმე განიხილება. იმედია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე ევროსაბჭოში დაგეგმილი დებატები არ იქნება მხოლოდ დებატები – დებატებისთვის. საქართველო შეძლებს კეთილგანწყობის სათავისოდ გამოყენებას.

ევროსაბჭოს დელეგაცია ამ რამდენიმე ხნის წინათ ქართველთა დეპორტაციის გამო ჩავიდა თბილისში და მერე რუსეთშიც იყო. მათ რუსეთის მიმართ მრავალი პრეტენზია დაუგროვდათ და აშკარად აღელვებულნი არიან. ამბობენ, რომ საქართველო მხოლოდ მიზეზია, ევროსაბჭოს უმთავრესი მიზანი, რუსეთის „დატუქსვაა“. საამისოდ კი საქართველოს გამოიყენებენ.

ქართულმა დიპლომატიამ დებატებში ეს ფაქტორიც უნდა გაითვალისწინოს. ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის პოლიტიკაში მოკრძალება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ქვეყანა მხოლოდ გამოგვიყენებს, საქმეს კი უმნიშვნელო შედეგი მოჰყვება.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ ინფორმაცია

### აფხაზეთის მხარე ცეცხლს ეთამაშება

**გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსლან ქიშმარია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის ფრიდონ შარიას მკვლელობასთან ე.წ აფხაზი ძალოვნების კავშირს კატეგორიულად უარყოფს.**

**როგორც ქიშმარიამ განაცხადა, შარიას დაღუპვა ქართველებს შორის კრიმინალური გარჩევის შედეგი იყო. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ სპეციალურად მოაწყო მკვლელობა, რათა აფხაზ „ძალოვნებზე“ მიეტანათ ეჭვი.**

**გუშინ დილით 6.00 საათზე ზუგდიდის რაიონში სოფელ განმუხურში განლაგებულ შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს საგუშაგოს აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფების წევრები დაესხნენ თავს. ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, 30 წლის ფრიდონ შარია, კიდევ ერთი თანამშრომელი ომარ ჯიქია კი დაიჭრა. იგი ზუგდიდის საავადმყოფოდან უკვე გაწერეს.**

**წინასწარი დათვალიერებით დადგინდა, რომ საგუშაგოს სამი ნაღმტყორცნი ესროლეს, ისროდნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდანაც.**

**არსებობს ვერსია, რომ თავდასხმა აფხაზურმა მხარემ აფხაზური მილიციის მაღალჩინოსნების ოთარ ტურნანბასა და ალიკ ხიშბას მკვლელობის გამო მოაწყო.**

**განმუხური გალის რაიონს ესაზღვრება, იქ განთავსებულია შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს საგუშაგო, რომელიც კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით არის შექმნილი.**

**ინტერპრესნიუსი**

### დაუცველი პენსიონერები დაასაჩუქრეს

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინ სოციალურად დაუცველი პენსიონერები დაასაჩუქრეს. რამდენიმე ათეულ მოხუცს სამინისტროსთან ერთად საახალწლო საჩუქრები ისანი-სამგორის რაიონის პენსიონერთა და ვეტარანთა კავშირმაც გადასცა. „ეს ადამიანები ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველი ნაწილი არიან. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ გაწეული დახმარება მათთვის მცირეოდენი შეღავათი მაინც იქნება“- განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა.**

**მოხუცებს ტკბილეული, საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები გადასცეს.**

**ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, მსგავსი საქველმოქმედო აქციები გასულ წლებშიც ჩატარდა და მომავალშიც გაგრძელდება.**

### უმუშევართა რიგი იზრდება

**სამსახურეობრივი გულგრილობისა და სტრუქტურაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტმა 2006 წელს თანამდებობიდან 239 თანამშრომელი გაათავისუფლა.**

**როგორც დეპარტამენტში განაცხადეს, დისციპლინარული ზომები საგადასახადო დეპარტამენტის 210 თანამშრომელზე გატარდა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის დადგენილება

1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:**

1. 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სახელმწიფო გადატრიალება;
2. არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების – „სამხედრო საბჭო“ და ა. შ. შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია;
3. ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ;
4. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც სამშობლოს ღალატი;
5. საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებთ უკანონო ხელისუფლების დაუმორჩილებლობას.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენესი საბჭო.**

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

### ბუნებრივი რესურსების – მიწის, წყლის, ტყის გასხვისებისშესახებ

– საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და საერთაშორისო სამართლის ნორმებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ უპირატესი უფლება ისარგებლონ საქართველოს სასიცოცხლო სივრცით – მიწით, წყლით, ტყით, საძოვრებით;

– საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზანესი საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უფლებამოსილია დაიცვას საქართველოს მიწა, ტყე, წიაღისეული, წყალი;

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის მე-11 მუხლის თანახმად, „მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაა შავი ზღვის სანაპიროსა და კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსები;

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის დადგენილების, საქართველოს რესპუბლიკის კანონების, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზანესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოში 1992 წლის სახელმწიფო, სამხედრო გადატრიალებიდან დღემდე, ბუნებრივი რესურსების გასხვისების, ეროვნული პარკების, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების შესახებ მიღებული ნორმატიული აქტები გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ;
2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის სასიცოცხლო სივრცის შეზღუდვა, კერძოდ, წიაღით, წყლით, ტყით, მიწით, საძოვრებით სარგებლობის უფლებების წართმევა გამოცხადდეს არაადამიანურ ქმედებად და შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან მიეცეს სათანადო იურიდიული შეფასება.

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*
**ა. ჟღენტი.**

თბილისი, 2006 წლის 22 დეკემბერი.

◉ შევნიშნეთ, ვაზუსტებთ

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (მე-9 გვ.ქ გამოქვეყნებულია წერილი სათაურით: „ზუსტია თუ არა კალენდარი?“, სადაც გრიგოლ XIII შეცდომით მოხსენიებულია როგორც გრიგოლ VIII.**

- თუ ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილისათვის ე. წ. ორაბორიგენობის თეორია პირდაპირ შთაგონების წყარო გახდა, მეორე ნაწილი მას იძულებით, „ნაკლები ბოროტების“ პრინციპით აღიარებდა
- ის, რომ 1918 წელს საქართველო თავს დაესხა დამოუკიდებელ აფხაზეთს და აფსუა ხალხის ამოწყვეტა „სცადა“, თეთრი ძაფით ნაკერი გახლავთ



**პოზიცია**

„...АБХАЗЫ жили всегда одной исторической и культурной жизнью с грузинами... абхазы, собственно, те же грузины... ярко проявляется общность и единство грузинских племен, в том числе и абхазов...“

ДИМИТРИ ГУЛИЯ

„...АБХАЗЫ – это грузины, абхазы представляют одно из многочисленных грузинских племен. которые живут в Грузии и на Кавказе“.

МИХАИЛ ДЕЛБА

# ისევ საბჭოთა დივერსიული სტერეოტიპების ტყვეობაში,

## ანუ რატომ გვაქვს წაგებული საინფორმაციო ომი აფხაზეთში

**დიდმპყრობლური ძალები დღემდე შენელებული მოქმედების ჭურვის პრინციპით აფეთქებენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შესახებ რუსული დივერსიული ეთნოფაბრიკაციების მიერ სრულიად კავკასიისა და, განსაკუთრებით, საქართველოს წინააღმდეგ თავის დროზე შორს გამიზნულად მოთადარიგებულ ნაღმებს.**

**იმ ვითარებაში, როდესაც კაცობრიობა 21-ე საუკუნის სანიშანსვეტო ღირებულებათა შინაარსში არათუ ადამიანთმოყვარეობის, საერთოდ ცოცხალ სამყაროში თანაარსებობის წესრიგს ყველაზე შემწყნარებლური პოზიციებიდან აზუსტებს, სამწუხაროდ, რუსეთის ველიკოდერჟავულ პოლიტიკურ ელიტას არა და არ ეთმობა შოვინისტურ-დიდმპყრობელური დემარშები, რომელთა რეციდივული ხასიათი მსოფლიოსათვის ტრადიციულად არაპროგნოზირებადს ხდის მოსკოვური აგრესიის მასშტაბებსა და სისასტიკეს.**

ყოველივე ამის მკაფიო დადასტურება გახლავთ საუკუნეების მანძილზე კავკასიაში და, განსაკუთრებით, საქართველოში ე. წ. ჰუმანიტარული მისიის ნიღბით განხორციელებული საოკუპაციო ექსპედიციები, რომელიც, ფაქტობრივად, კავკასიის ქვეყნების, ერებისა და ხალხების კატასტროფას წარმოადგენდა. უფრო მეტიც, მიიღო რა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ხასიათი, კავკასიაში, და მათ შორის საქართველოში, მან მკვიდრი მოსახლეობის საეთნოდივერსიო ნედლეულად გამოყენება, მათი დენაციონალიზაცია, ეთნიური წმენდა და გენოციდი იმპერიის საკავკასიო პოლიტიკის საკვანძო მიმართულებად გახადა, რომელსაც მილიონობით კავკასიელი (რა თქმა უნდა, რუსეთისთვის ერთმორწმუნე და მასთან ძმობისათვის მზადმყოფი ქართველიც) შეეწირა და ეწირება დღესაც.

ამ მხრივ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ აფხაზეთში) 1992-1993 და მომდევნო წლებში რუსეთის მიერ პროვოცირებულ და ფაქტობრივად მისივე სამხედრო ძალებით წარმოებულ საომარ ავანტიურაში გამოვლენილი ყოველმხრივ დამანგრეველი თარეში, რომლის შედეგადაც ამ მხარეში განხორციელდა მკვიდრი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიური წმენდა, რასაც მოჰყვა დროებით ოკუპირებულ აფხაზეთში რუსული რეჟიმის დამყარება და 300 ათასზე მეტი კაცის 13-წლიანი დევნილობა.



ვუღრმავდებით რა ამ მოვლენებს, რომლის სათავე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ისტორიის გაყალბებითა და აფხაზეთის მოსახლეობის დანაშაულებრივი დენაციონალიზაციიდან მომდინარეობს, შეშფოთებით უნდა განვაცხადო, რომ ასეთი გაუგონარი თარეში რუსეთმა განახორციელა ცივილიზებული კაცობრიობის თვალწინ და მისთვის ამ უკანასკნელის მხრიდან ზნეობრივ-სამართლებრივი შეფასების მიუცემლობა მას საშუალებას აძლევს, ინებივროს საკუთარ ველიკოდერჟავულ ამბიციებსა და საქართველოს და კერძოდ აფხაზეთის შესახებ საგანგებოდ შეკოწიწებულ ფაბრიკაციულ ეთნოდივერსიულ სტერეოტიპებში, რაც დროდადრო განისაგნება აგრესიული პროვოკაციების, მონოლდებებისა და ქართველების სულიერი თუ ფიზიკური დარბევების თანმიმდევრულ განხორციელებაში, რომლის მიზანიც გახლავთ აფხაზეთის „არაქართულობის“ ავანტურისტული შინაარსის სამიდღემშიო დამკვიდრება, რასაც ემატება მძევლის მდგომარეობაში მყოფი უმწეო საქართველოსგან ყოველდღიური მსხვერპლშეწირვის მოთხოვნა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მხრიდან ასეთი გამოვლენაა მთლიანად მისი კავკასიური, კერძოდ, კი საქართველოს მიმართ შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც, ისევ და ისევ, კაცობრიობის თვალწინ აულაგმავად ხორციელდება. სამწუხაროდ, ხელმძღვანელობს რა ე. წ. ფაქტის ფილოსოფიით, დღემდე აფხაზეთის შესახებ მიზნობრივად დეზინფორმირებული მსოფლიო რუსეთის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) განხორციელებულ დივერსიულ ეთნოფაბრიკაციებსა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ მოწყობას აფხაზეთის ბუნებრივ და, ამდენად, „სამართლიან“ მდგომარეობად განიხილავს, რასაც ხელს უწყობს ისიც, რომ წელთაღრიცხვის საკუთარი დაბადების დღიდან ამთვლელი თაობა თავადაა გაუთვითცნობიერებელი საკუთარ ისტორიაში და, ბუნებრივია, არც და ვერც მოიაზრებს ქართველებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში რუსისტული დივერსიული ეთნოფაბრიკაციების მსხვერპლ ხალხად.

ასეთ გარემოში მკაფიო სიცხადე ის გახლავთ, რომ კავკასიისა და, შესაბამისად, საქართველოს მიმართ იმპერიული ძალების, ანუ აგრესიული გლობალიზმისა და რუსიზმის კოალიციური აგრესიის მკვებავი წყარო გახდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში რუსიზმის მიერ განხორციელებული მრავალსაუკუნოვანი დივერსიული ეთნოფაბრიკაციები, რომლის შედეგადაც ამ მხარეში მთლიანად შეიცვალა დემოგრაფიული შინაარსი და ეთნოგრაფიული ხასიათი, მკვიდრი მოსახლეობა და მასთან ერთად მიზნობრივად შემოსახლებული თუ ძალადობის გზით აქ დამკვიდრებული ხალხები იმპერიისთვის გახდა ზემოთ ხსენებული დივერსიული ეთნოფაბრიკაციებისათვის საჭირო ეთნონედლეული. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთელი ამ წლების მანძილზე აფხაზეთი წარმოადგენდა ქართველთა, ანუ იგივე აფხაზთა დენაციონალიზაციის პოლიგონს, სადაც ქართველთა სამხარეო სადაურობის გამომხატველმა შინაარსმა „აფხაზმა“ შეიძინა არაქართველის მნიშვნელობა, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო — აფხაზეთი — მოაზრებულ იქნა არაქართულ ქვეყნად, ხოლო ქართულ მიწაზე ე.წ. საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის პროვოკაციულმა შექმნამ განამტკიცა „სამართლებრივ-პოლიტიკური“ ბაზა რუსიზმის მიერ მიზნობრივად გამოინკუბატორებული ნაციისათვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველო დადგენილიყო „სამშობლოდ“, ანუ, რაკი „აფხაზს“ არაქართველის შინაარსი გაუპიროვნდა, აფხაზეთი ამ არაქართველთა მამულად გასიგრძეგანდა.

გასაკვირი ისაა, რომ საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში, როცა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლის სტატუსი, ჰქონდათ, ამის მიზეზი თუ არა, ერთგვარი ინდულგენცია გახდა არათუ ცალკეული ადამიანებისათვის, არამედ მთელი ხალხებისთვისაც, ე. წ. ქართულმა საბჭოთა პოლიტიკურმა ელიტამ და მის ქვემდებარე ისტორიოგრაფიამ დანაშაულებრივად მიჩქმალა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), ცხინვალის მხარესა და არა მხოლოდ აქ საუკუნეების მანძილზე რუსიზმის მიერ განხორციელებული რეპრესიები, საოკუპაციო რეჟიმი და ა. შ. მაშინ, როდესაც სასათბურო პირობებში გამოყვანილი ახალი „ნაციები“, ანუ ქართულ მიწაზე მათთვის საგანგებოდ შექმნილი „რესპუბლიკების სახელის მატარებელი ხალხები“ თავიანთ თავს სწორედ სტალინური (ვერაგულად ნაგულისხმევი ქვეტექსტით — ქართული) რეპრესიების მსხვერპლ ხალხად აცხადებენ, საკუთარ სამშობლოში ქართველთა პოლიტიკური, სამართლებრივი და ზნეობრივი უფლებების დათრგუნვის ხარჯზე.

რაკი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ახალი მიზნობრივი „ნაცია“, ბუნებრივია, მას, „რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხს“, მისთვის სახელდახელოდ ფაბრიცირებულ და მასზე გაპიროვნებულ რესპუბლიკისათვის დასჭირდა „საკუთარი“ ისტორია და ისტორიოგრაფიული სკოლა, ანუ სეპარატისტული პოლიტიკისა და იდეოლოგიის „მეცნიერული საფუძვლებისათვის“ მრავალმიმართულებითი კომპლექსი, რის გამოც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის დენაციონალიზაცია და ამ მხარის ისტორიის გაყალბება ეთნოკრატიისათვის სახალხო მეურნეობის ისეთივე დარგი გახდა, როგორც მეღორეობა, მესაქონლეობა, მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა და ა. შ. (აქვე განსაკუთრებული სითბოთი მინდა აღვნიშნო სახალხო მეხსიერებაშენარჩუნებული აფსუა ხალხის მიმართ, რომელთანაც მაკავშირებს საერთო სისხლი, ნათესაობა, ძუძუმტეობა და სახლიკაცობა. ეს ასეც უნდა იყოს ყველა თაობაში, მაგრამ არა ისტორიის გაყალბების ხარჯზე). ამდენად, სეპარატისტული ისტორიოგრაფიისათვის ეთნოდივერსიული ფაბრიკაციის გზით შექმნილ ლერძულ დებულებას აფხაზეთში აფსუათა მკვიდრობის (აბორიგენობის) შესახებ, ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილი და აქედან გამომდინარე საქართველოს ოფიციალური წრეები უპირისპირებდნენ ძუძუმტეობის გაყალბების ინტერპრეტაციაზე შექმნილ თეორიას აფხაზეთში ორაბორიგენობის შესახებ.

ე. წ. ორაბორიგენობის თეორია იმთავითვე მეცნიერებაში ყურით მოთრეული ტაქტიკა გახლდათ, რომელიც აფხაზთა (ქართველთა) და აფსუათა სახლიკაცურ და ძუძუმტეობით წესრიგს, ანუ შინაარსს თავდაყირა აყენებს და უარყოფს იმას, რომ აფხაზეთში, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ქართველებმა გაისახლიკაცეს გვიან საუკუნეებში სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა მიზნით აქ დამკვიდრებული აფსუები, რომლებთანაც სახალხო ურთიერთობის წესრიგში ნათესაური ურთიერთმიზმულობა ჩამოყალიბდა.

არადა, ორაბორიგენობის თეორიას, რომელიც პროვოკაციულად ამტკიცებს, თითქოსდა, ე. წ. აფხაზეთი (პრიორიტეტულად) და ქართველები ხშირად „ძალისმიერი“ გზით აქ დასაბამიდან ჰქმნიდნენ თავთავიანთ კულტურას, გახლავთ წმინდა წყლის სიცრუე, რადგან ამ მხარეში შექმნილი სულიერი კულტურის ძეგლი, ტოპონიმიკა, ეროვნულ-სახალხო მეხსიერება, ხალხური სიტყვიერება და მუსიკალური ფოლკლორი ყოველთვის იყო ქართული (სამხარეო სახელით აფხაზური) და 1912 წლამდე, როცა დიმიტრი გულიამ თავისი კრებული გამოსცა თბილისში, ამ მხარეში არავითარი წერილობითი ძეგლი, დამადასტურებელი ამ კუთხის აფხაზეთობის (არაქართულობის) შესახებ, დროსა და სივრცეში არ მოიპოვება.

თუ ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილისათვის ე. წ. ორაბორიგენობის თეორია პირდაპირ შთაგონების წყარო გახდა, მეორე ნაწილი მას იძულებით, „ნაკლები ბოროტების“ პრინციპით აღიარებდა. საქმე ის გახლავთ, რომ 1956 წლის 10 ივლისს სკკპ ცკ-ს პრეზიდიუმმა მიიღო მრისხანე დადგენილება საქართველოს ცკ-ს მუშაობის შესახებ, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა დადანაშაულებული იყო შოვინიზმისა და დიდმპყრობელობის გამოვლენაში, ამასთან ერთად, კიდევ ერთხელ ვამბობ ხმამაღლა, აღიარებული იქნა რა სტალინიზმი ბოროტებად, საკითხის ქვეტექსტი მას ქართულ შინაარსთან აიგივებდა და საქართველო ბოროტების ბუდედ განიხილებოდა, საიდანაც ქართველთა გადასახლების საკითხიც კი დადგა.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოში ჩატარებულ კპ ცკ-ს პლენუმებზე თუ სამეურნეო-პარტიული აქტივის კრებებზე ქართველებს დაბრალდათ საქართველოში მოსახლე ე. წ. ეროვნული უმცირესობების: რუსების, არმენების, აზერბაიჯანელებისა და განსაკუთრებით ოსებისა და საგანგებოდ ინკუბირებული ნაციის, რომელსაც შორსგამიზნულად აფხაზი დაარქვეს, უმოწყალო ჩაგვრა.

ბუნებრივია, ასეთ დროს კრემლის მიერ პროვოცირებულ სეპარატისტულ ისტერიას აფხაზეთში, როცა საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი გაყალბება სრკ სახელმწიფო პოლიტიკად იქცა, უფრო მეტიც, საქართველოდან (პირველ რიგში აფხაზეთიდან) ქართველთა გასახლების საკითხიც კი დაისვა, ძნელი იყო მას უფრო ქმედითი საპირწონეთი დაპირისპირებოდი, ამ მხრივ, იმ განუკითხაობაში ორაბორიგენობის თეორიის რაღაცნაირი გაგება შეიძლებოდა, მაგრამ გაუგებარია დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური აზრის ქვეშ, ამ მხრივ მოხალისე და შთაგონებული თაობა რომ შესაშურ ხელგარჯილობას იჩენს.

სეპარატისტული იდეოლოგიების მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში „ქართველთა მიერ განხორციელებული დიდმპყრობელობის“ ნივთმტკიცებად ასევე საგანგებოდ გამოიყენება მორიგი ფაბრიკაციული თეორია „აფხაზეთის დაკარგული სტატუსის დაბრუნების“ შესახებ, რომელზეც აიგო ქართველების მიერ ვითომცდა აფხაზების მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრისა და აქედან გამომდინარე, საქართველოდან აფხაზეცების გამოყოფის აუცილებლობის თეორია.

ამ პროვოკაციის ფაბულა ასეთი გახლავთ: აფხაზეთის, ანუ „არაქართული“ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღსადგენად და ქართველებისაგან თავდასაღწევად ვითომცდა აფხაზი ერი მოძმე რუსეთს შეუერთდა, 1918 წელს აფხაზი ბოლშევიკების ძალისხმევით აღდგინდა ნანატრი დამოუკიდებლობა, რომელიც ქართველმა მენშევიკებმა სისხლში ჩაახშეს და საქართველომ კვლავ დაიპყრო აფხაზეთი.

თუმცა (პროვოკატორთა მტკიცებით), საქართველოს „ძალმომრეობა“ აქ არ დამთავრებულა: — 1921 წელს აფხაზმა ხალხმა კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ აგრესორმა მეზობელმა საქართველომ, სტალინისა და ბერიას ძალმომრეობით, ისევ საქართველოს უღელი დაადგა მას. ამგვარად იჩაგრებოდა იგი მანამ, სანამ 1993 წლის სექტემბერში არ უკუაგდო „ქართველი ოკუპანტები“.

ამ მიზნით, თვით ის ყურით მოთრეული პროცესებიც კი, რომელთაც აგრესიული სეპარატიზმი არგუმენტებად იყენებს, სულაც არაა იმგვარი, ანუ არ წარმოადგენს მონონაციონალურ აფხაზეცურ ფაქტს.

სხვათა შორის, 1918 წლის 9 თებერვალს აფხაზეთის სახალხო საბჭო დაეთანხმა დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში სოხუმის ოლქის თვითმყოფობას, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 1904 წლის 25 დეკემბერს (შობა დღეს) იმპერატორის ბრძანებულებით სოხუმის ოლქს ჩამოშორდა გაგრის რეგიონი (ბზიფის იქითა მხარე), რომელიც დამოუკიდებელმა საქართველოს 1918 წელს შემოიერთა.

საბჭოთა რუსეთის მიერ წაქეზებულმა ბოლშევიკებმა აფხაზეთში 1918 წლის 16 თებერვალს სცადეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მათი რევკომი, რომელიც, თუ ეს ვინმეს აინტერესებს, ისე კი არ მოქცეულა, როგორც ამას სეპარატისტული ყალბისმქნელები წერენ, თითქოსდა დამოუკიდებლობა გამოაცხადესო. პირიქით, სწორედაც, რომ ფეხებზე დაიკიდეს ე. წ. აფხაზთა ყოველგვარი დამოუკიდებლობა. მათ ფაქტობრივად საბჭოთა რუსეთის ორგანულ და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ნაწილად მოიაზრეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი). რაც მთავარია, ამ გადაგვარებულ ხროვაში ყველაზე ნაკლები აფსუა მოსახლეობის წარმომადგენლობა იყო, მასში უპირატესად შედიოდნენ იქაური ქართველების ნაწილი, ჩამოსახლებული არმენები, რუსები და ა. შ., უფრო მეტიც, 1918 წლის 8 აპრილს სოხუმი ქართველმა ბოლშევიკებმა აიღეს, სოხუმზე თავდასხმა მათი იდეა იყო, გუდაუთელი აფსუები უკვე აღებულ სოხუმში შეუერთდნენ მათ (ვრცლად იხ. ჯ. გამახარიას შრომები).

1918 წლის 17 მაისს სოხუმი ბოლშევიკებისგან გათავისუფლდა. მანამდე მდ. კოდორის ფრონტზე რუსეთის ნაწილად თვითდადგენილ აფხაზეთის ბოლშევიკებსა და მენშევიკური საქართველოს წითელ გვარდიას შორის გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობდა, — ბოლშევიკურ მხარეს (კოდორის მარჯვენა ნაპირს) გულრიფშელი ქართველები (მეგრელები) იცავდნენ და მოგვიანებით მათ დასახმარებლად მისულა გუდაუთელი აფსუების უმნიშვნელო ნაწილი. მათ მეთაურობდნენ კ. ბახტაძე და პ. აღნიაშვილი. მარცხენა ნაპირზე გამაგრებულ გვარდიელებს, რომელთა მეთაური ვ. ჯუღელი თავად იყო სოხუმელი, ემხრობოდა ოჩამჩირელი აფსუების რაზმი. ე. ი. ის, რომ 1918 წელს საქართველო თავს დაესხა დამოუკიდებელ აფხაზეთს და აფსუა ხალხის ამოწყვეტა „სცადა“, თეთრი ძაფით ნაკერი გახლავთ: ეს, ისევ და ისევ, შიდაქართული შეიარაღებული ავანტიურა იყო, რომლის დროსაც ყველა ჯურის ბოლშევიკები (მათ შორის კი უმრავლესობა ქართველი იყო), იცავდა რა საბჭოთა რუსეთის ინტერესებს (მათ აზრადაც არ ჰქონიათ ე. წ. აფხაზი ხალხის დამოუკიდებლობა), სამკვდრო სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა დამოუკიდებელი საქართველოს ერთიანობასა და აღმშენებლობას.

ვიმეორებ, ეს იყო არა ქართულ-აფსუური (გნებავთ, აფხაზეცური) კონფლიქტი, როგორც ამას აგრესიული სეპარატიზმის ისტორიოგრაფია გაჰკივის, არამედ, პარტიული და კლასობრივი ნიშნით დაპირისპირებული ქართველების ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის, ისევე, როგორც თელავში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, სადაც, როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს შეენაკადა საქართველოში დამკვიდრებული ხალხების — რუსების, ოსების, აფსუების, არმენების და ა. შ. წარმომადგენლები.

დაბოლოს, ჟამთაბერის მოწაფეობა, რომელიც ასე სჭირდება თაობას, ასკვნის, რომ ადგილი ცის ქვეშეთში არ უნდა დაიმკვიდრო არც საკუთარი გადაგვარებით და არც სხვისი ჩაძირვით, იგი ღირსებაში საკუთარი ვინაობის განიშანსვეტებით უნდა მოიპოვო.

ამდენად, როგორც ხედავთ, 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში არ ყოფილა ქართველთა და აფსუათა შეიარაღებული დაპირისპირება ეთნიკური ნიშნით: რუსეთმა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ეს ვერ შესძლო.

სამაგიეროდ, მან თავისი შეცდომები გაითვალისწინა და მოახერხა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში რუსული აგ-

№ 2. შაბათი, 6 იანვარი, 2007 წელი.

# გულისთქმა

- ზუსტად და ოთხივ კუთხით უნდა გასაჯარისდეს, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ აფხაზეთის საომარი ავანტიურა, — აგრესიული გლობალიზმის დასტურია
- ახლა ძნელია გაარკვიო, ეს დიალოგი მძღოლთან მართლა შედგა თუ რუსი ჟურნალისტის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია





რესიისათვის გარეგნულად ეთნოკონფლიქტის სახემიეცა, თუმცა სინამდვილეში ეს ავანტიურა თავისი არსით, კვლავაც აგრესიული რუსეთის დამპყრობლური შემოსევა გახლდათ.

ამასთან დაკავშირებით, ნებისმიერი განცხადება, რომელიც ეფუძნება მიზნობრივ დებულებას „ჩვენ აფხაზებს ომი პირველებმა დავუწყეთ და ბოდიში მოვუხადოთო,“ არ არის მხოლოდ საქართველოს, არამედ, სრულიად კავკასიის ღალატი, იმდენად, რამდენადაც, ასეთი სიყალბის დამკვიდრებით ხელი ეწყობა სამარადისო შიდაკავკასიურ შფოთს, რაც ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების დაღუპვისკენ ჩაწალდული სვლაგეზი გახლავთ.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, სწორედ ასეთი ლოზუნგებით ცდილობს პოლიტიკურ თუ ე. წ. არასამთავრობო თვითდამკვიდრებას ნებისმიერი მადაალერლილი.

ზუსტად და ოთხივ კუთხით უნდა გასაჯარისდეს, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ აფხაზეთის საომარი ავანტიურა, — აგრესიული გლობალიზმის დასტურია და მის ადგილობრივ ხელისბიჭებზე დაყრდნობით 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარსა და მომდევნო წლებში კარგად მომზადებული, შენიღბული და საქართველოს ქალაქებსა და მხარეებში ჯერნაცვლეობით განხორციელებული საოკუპაციო აგრესიის შინაარსობრივი გაგრძელება გახლავთ, რომლის დროსაც ე. შევარდნაძეცა და ვ. არძინბაც მიზანთა ვერაგული გაერთსხეულებით ერთი დივერსიული დიქტატურის წყვილ ჩექმას წარმოადგენენ.

არც ერთს და არც მეორეს აზრადაც არ მოსვლია საქართველოს (ამდენად აფხაზეთის ძმოსახლეობის სახალხო-სამოქალაქო ნების პატივმიგება. დღემდე ყურში ჩამესმის ვ. არძინბას წასისინება — „მე ისეთ ხაფანგს დავუგებ ქართველებს, პირველს გავასროლინებო“ და რადგან იმპერიის დაკვეთა იყო, „დიდმპყრობელი“ და „აგრესორი“ საქართველო წარმოჩენილიყო, ეს გააკეთებინეს ე. შევარდნაძეს, რითაც შედგა საოკუპაციო სცენარი, რომელშიც „აგრესორი“ საქართველოს გასწვრივ, გაუთვითცნობიერებელი მსოფლიოსათვის, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს „არაქართული“ ხედი უნდა დასურათხატებულიყო. ეს დავალება ვ. არძინბამ, რომელმაც 1992 წლის 14 აგვისტომდე არა ერთი „სამართლებრივი“ თუ სხვა სახის პროვოკაცია მოაწყო (მათ შორის სეპარატისტული სამხედრო საბჭოსა და შეიარაღებული ფორმირების შექმნა, 1925 წლის ე. წ. კონსტიტუციის შემოღება, აგრესიული რიტორიკა და ნაბიჯები ქართველი ერის წინააღმდეგ, ქართველთა კანონგარეშე გამოცხადება და ა. შ.ძ შესანიშნავი ხელგარჯილობით აღასრულა.

ომში ჩვენი დამარცხების მიზეზი ღალატთან, გაუტანლობასთან, ულმერთობასთან და იმპერიის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლასთან ერთად, ისიც იყო, რომ საქართველოში არაერთ ხეპრეს და სულგაყიდულს, განსაკუთრებით კი მის წვრთნაშეუსმენელ თაობას არ სჯეროდა და კიდევ უარესი, დღესაც არ სჯერა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, იგივე აფხაზეთის ქართულობა. უფრო მეტიც, ისინი დღემდე რუსიზმის დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციულ სტერეოტიპებზე აგებენ თავიანთ ბოდვას ამ ქართულ მხარეზე.

უფალი არავის პატიობს, როცა ადამიანი საკუთარ ვინაობას ღალატობს.

უნიათობისა და უვიცობის აღლუმი გახლავთ, როცა აგრესიული სეპარატიზმის ლიდერების, ანუ ე. წ. აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების განცხადებებს, თითქოს ისინი აფხაზეთის მოსახლეობის ნებას გამოხატავენ, ჩვენი წინდაუხედავი მხარე წმინდა წყლის სიმართლედ რომ აღიარებს, რად ებადებათ შემხვედრი კითხვა, მაინც ვინაა ეს ხალხი, რაც მთავარია, დღეს რატომ არ არის აფხაზეთის კანონიერი მოსახლეობა (მათ შორის აფსუა ხალხის უპირატესი ნაწილიძ, აფხაზეთში, ე. ი. საკუთარ სამშობლოში. და კიდევ: სეპარატისტული ხროვის მესვეურთაგან რომელიმეს აქვს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში — აფხაზეთში თავისი პაპის საფლავი?

საუბედუროდ, ასეთი შეკითხვები ჩვენს ახალ „უფროს ძმასაც“ ერთ ადგილზე მახათის გაყრის სურვილად მიაჩნია და ე. წ. ფაქტის ფილოსოფიის აფრიალებით, რუსიზმის მიერ აფხაზეთში განხორციელებული დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგებს ასაღიარებლად სიცხადედ გვაჩეჩებს. ე. წ. დემოკრატიის აკვანი ასე იქცევა იმიტომ, რომ თავადაა უწარსულო და ჩემს ოდაბადე ბესლეთის ხეობაში მისი ასაკის ღვინჯა მსხალი მიდგას პაპაჩემის დარგული.

აი, რის გამოა, რომ ვისაც არ ეზარება, როგორც იტყვიან, თავისი ხოშის შესაბამისად, ჩვენი მამულის მიღმა წერს დედა საქართველოს მიზნობრივ, მომხმარებლურ და გაყალბებულ ისტორიას.

**სერგი საჯაია,**
**მწერალი.**

◎ SIC!

# „ჩვენ ქართველები ყელებს გვჭრიდნენ“

## – უთქვამს მაგან მძღოლს რუსი ჟურნალისტისთვის

**მოსკოვის გაზეთ — „ნაშა ვერსიაში“ (2006, 16-20 ოქტომბერიძ გამოქვეყნდა ჟურნალისტ რუსლან გორევოის წერილი „მიშიკოს ლეკური. საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, ომის არ მეშინიაო, მაგრამ იარაღს აჟღარუნებს“.**

ავტორი უკრაინელი კოლეგების დახმარებით, კიევის გავლით სტუმრებია თბილისს. სტუმრებით კი სტუმრებია, მაგრამ ყველაფერი უკულმა, მრუდე სარკეში დაუნახავს, უფრო სწორად, რაც გულით უნდოდა რომ დაენახა და გაეგონა თბილისში, ის დაუწერია. წერილი ცილისწამების კლასიკური ნიმუშია და ქართველთა ზიზღითა და სიძულვილით არის გაჯერებული. მაგრამ ამაზე ამჯერად არ შევჩერდები, მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ მარტო ერთ ქვეთავზე — „სომხებს მეხუთე კოლონას უწოდებენ“. მასში აღწერილია ავტორის საუბარი ტაქსის მძღოლთან.

ახლა ძნელია გაარკვიო, ეს დიალოგი მძღოლთან მართლა შედგა თუ რუსი ჟურნალისტის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია. ეს ავტორის სინდისზე იყოს (ასეთი რამ თუ გააჩნია), მაგამ თუნდაც შეთხზული იყოს, ეს საქმის არსს დიდად არ ცვლის. თვალსაჩინოებისთვის მოვიტან ამონარიდს.

თურმე თბილისში დაბადებული და გაზრდილი ტაქსის მძღოლი, ეროვნებით სომეხი, გაფაციცებით ემზადება აქედან გასაქცევად და იცით რატომ? — „როცა გამსახურდია მოვიდა, თბილისში იყო სომეხთა დარბევები. სცემდნენ რუსებსაც, მაგრამ ჩვენ არ გვცემდნენ, ჩვენ (ე. ი. სომხებს — **ბ. ა.**ძ ყელებს გვჭრიდნენ“. ამჟამადაც თურმე ბევრი შეშინებული სომეხი გარბის. მას არ უნდა დატოვოს ყრმობისდროინდელი ქალაქი, მაგრამ, უნდა წავიდეს, რადგან ახლახან ჩემი ქალიშვილი სცემეს (რა თქმა უნდა, ქართველებმა — **ბ. ა.**ძ, მას მოკვლით დაემუქრნენ ჩვენი მეზობელი ქართველი ბიჭები“, — ამბობს ტაქსის სომეხი მძღოლი.

— საიდან ასეთი სიძულვილი? — ეკითხება რუსი ჟურნალისტი.

ამ სიძულვილს ასე ხსნის ტაქსის მძღოლი: ქართველები გვეუბნებიან, რუსეთი რომ ასეთი წინააღმდეგია საქართველოსი, ამაში სომხები ხართ დამნაშავენიო. შემდეგ რუს პროვოკატორს განუმარტავს: „ნახეთ: რუსებს და სომხებს არ აქვთ საერთო საზღვარი. როცა სსრ კავშირი დაიშალა, სომხეთი გლოვობდა. ჩვენ კარგად გვახსოვს ასი წლის წინანდელი ამბები (იგულისხმება სომეხთა ხოცვა-ჟლეტა თურქეთში 1915 წელს — **ავტ.**ძ, და ვიცით, რომ ჩვენი დამცველი რუსეთის გარდა არავინაა. ჩვენთვის ძალიან მტკივნეული და ტრაგიკული იყო სსრ კავშირიდან გასვლა, მაგრამ რუსეთმა არ მიგვატოვა. ჩვენ საქართველოს გზით დავდივართ ხშირად რუსეთში. და აი, ჩვენ წამოგვიყენეს იდიოტური დანაშაული — თითქოს სომხეთს სურს გათქვეფა რუსეთთან და ბელორუსიასთან კავშირი. მაგრამ საერთო საზღვრის უქონლობის გამო სომხეთს ძალიან უნდა ამ კავშირში შესვლა, რასაკვირველია, საქართველოს ნების წინააღმდეგ“.

ეს ხომ სისულელეა, წამოიძახებს მიხვედრილი რუსი ჟურნალისტი, რასაც ტაქსის მძღოლი სასწრაფოდ ეთანხმება — „რა თქმა უნდა, ადამიანები (ე. ი. ქართველები — **ბ. ა.**ძ ასე თვლიან. სომხებს მეხუთე კოლონას ეძახიან და აიძულებენ საქართველოდან წავიდნენ“.

ჭაჭით გამობრუჟებულ რუს ჟურნალისტს საღამოჟამს მოჩვენებია, რომ პარლამენტის შენობის წინ ქართველი ახალგაზრდები რუსებს და სომხებს თავპირს ალეწავდნენ. იქვე მდგომი ქართველი პოლიციელები კი გულგრილად უყურებდნენ ამ სცენას. არ იკითხავთ მიზეზს, რატომ სცემდნენ ქართველი ახალგაზრდები სომხებს და რუსებს? თურმე მათ სააკაშვილის საწინააღმდეგო პლაკატები გამოუკრავთ და იმიტომ. ყველაფერი იმით დამთავრებულა, რომ ყველანი პოლიციის განყოფილებაში წაუყვანიათ და მათ შორის ეს ბედოვლათი რუსიც.

ეს მცირე რეპლიკა შეიძლება აქ დამემთავრებინა, რომ არა ერთი ფაქტი, რაც რუსმა ჟურნალისტმა და „მისმა სომეხმა რესპონდენტმა“ უნებლიეთ წამოატივტივეს. ეს არის სომეხთა გენოციდი თურქეთში 1915 წელს. რუსი ჟურნალისტი და „მისი თანამოსაუბრე სომეხი მძღოლი“ ნეტავი რუსეთის რა სიკეთეზე ლაპარაკობენ, როცა ცარიზმმა ჯერ წააქეზა სომხები თურქეთის წინააღმდეგ და ააბუნტა, შემდეგ როცა საქმე საქმეზე მიდგა, პილატესავით დაიბანა ხელები და მშვიდობიანი სომეხი მოსახლეობა გაავებულ თურქ ასკერებს შეატოვა. შედეგმაც არ დააგვიანა და მილიონნახევარი სომეხი გაწყვიტეს ერთ კვირაში. აქვე აღვნიშნავ: იმ უბედური ხალხის ცოდვა დაშნაკური პარტიის სინდისზეა, რადგან ამ ჭკუამოკლე პარტიამ დაიჯერა რუსეთის მთავრობის ცრუ დაპირება, ვითომ თურქეთი სომხებს ავტონომიას მისცემდა, პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინეს და მისი აგიტაციით სომხებმა თურქებს ავტონომია მოსთხოვეს, რაც იმ პირობებში პოლიტიკურად გაუმართლებელი იყო. ამ საბედისწერო შეცდომის გაგონებაც კი არ უნდათ დაშნაკებს და მათ აყოლილთ.

**ბონდო არველაძე**

◎ არასერიოზულად სერიოზულზე

# ლარი გამყარდა

**ეჰ, რა გითხრათ, აბა? იმდენი გაუცნობიერებელი რამ ხდება ამ დუნიაზე, მათი განჭვრეტა თავის დროზე ვანგასაც გაუჭირდებოდა. სხვას თავი გავანებოთ, განა საოცრებად არ გეჩვენებათ, მსოფლიო ბაზარზე ბეჭდაუდებელ ამერიკულ დოლარს ჩვენი ახლად ფეხადგმული ლარი ქულას ქულაზე რომ სძალავს? მე პირადად ამას პასუხი ვერ მოვუძებნე და, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა ეროვნულ ბანკში დავრეკე.**

— გისმენთ, ბატონო, რამ შეგაწუხათ? — გაისმა ყურმილში მამაკაცის ხმა.

— დოლართან დაკავშირებით ვრეკავ, ჩემო ბატონო.

— კერძოდ, რა გაინტერესებთ?

— მინდა გავიგო, ლართან მიმართებაში თავს როგორა გრძნობს?

— ცუდად, ბატონო, ძალიან ცუდად.

— რა დაემართა?

— ეს-ეს არი, ლარმა ნოკაუტში ჩააგდო.

— როგორ, კაცო, რინგზე იბრძვიან?

— მაშ როგორ, სხვანაირად როგორ გავიგოთ, რომელი ძლიერია?

— მერე დოლარი უკვე დავარდა?

— ჯერ არა, მაგრამ სადაცაა გაიშხლართება.

— ყოჩაღ, ლარო! — აღმომხდა აღფრთოვანებულს, — ასეთს რას აჭმევთ?

— ვაჭმევთ კი არა, ვავარჯიშებთ, ბატონო, ყოველდღიურად ვავარჯიშებთ.

— ეგ ბანკში, მაგრამ ბაზარში რატომ არ ავარჯიშებთ?

— ბაზარში სხვა რინგია, ჩემო კარგო, ის ჩვენს ნომენკლატურაში არა ზის.



— არც მთავრობისაში?

— ვერ გეტყვით, თავად მთავრობაში დაურეკეთ.

ბენდუქიძეს ეცოდინება, გავიფიქრე და ნომერი ავკრიფე.

— ბატონი კახა რიყეშია, რა გნებავთ? — მიპასუხა მდივანმა ქალმა.

— ამ შუადღისას რიყეში რა უნდა?

— უფასო საცივის საჭმელად წავიდა, მალე დაბრუნდება.

— თუ იცით, ბაზრები მაგის კომპეტენციაშია?

— არა, ბატონი კახა ბაზარში საერთოდ არ დადის.

— რატომ, ქალბატონო?

— აბა რა უნდა, ეგ ხომ არაფერს ყიდულობს, მარტო ყიდის.

რაღას ვიზამდი, იძულებული გავხდი, ბატონი კახას მაგივრად ბაზარში მე წავსულიყავი.

— რა ღირს ვაშლი? — ვეკითხები ყინვისგან ლოყებაწითლებულ ქალბატონს.

— ბანანი — 4 ლარი, სტარტი — 5 ლარი.

— ბანანი არ მინდა, ვაშლზე გეკითხებით.

— ჰო, ეგ ყვითელი ვაშლი ბანანია, წითელი — სტარტი, — მიხსნის გამყიდველი.

— შარშან ასეთ ვაშლს 2 ლარად ვყიდულობდი, ასე რატომ გაძვირდა?

— ვაშლი კი არ გაძვირდა, ლარი გამყარდა, ბატონო.

— რა დიდი მიხვედრა უნდა, ლარი რომ არ გამყარებულიყო, ვაშლი ხომ არ გაძვირდებოდა?

პასუხი თითქმის დამაჯერებლად მეჩვენა, მაგრამ ეჭვი რომ მთლიანად გამეფანტა, გვერდით მოვაჭრე მამაკაცს ნიორი დავაფასებინე.

— კილოგრამს 5 ლარად აგიწონით, ბატონო.

— ერთ თავს რამდენი უნდა?

— 50 თეთრი.

— ქართულ მიწაზე მაინც არის მოწეული? — დავინტერესდი.

— რომ გითხრათ, კი-მეთქი, დამიჯერებთ? უკვე რამდენი წელიწადია, საქართველოში ნიორი ირანიდან შემოდის.

— მაგიტომ გაძვირდა?

— არა, ბატონო, ლარი გამყარდა და იმიტომ.

— ირანშიც, კაცო?!

ეტყობა, კითხვა არ მოეწონა, რადგან პასუხი არ გაუცია. მეც აღარ ჩავაცივდი, ბაზრიდან გამოვედი და საპარიკმახეროში შევუხვიე. ახალგაზრდა გოგო სასწრაფოდ დაფაცურდა და მშვენივრადაც მომემსახურა.

— ინებეთ, ქალიშვილო, — გავუწოდე სამი ლარი.

— ხუთი უნდა, ბატონო.

— რა ამბავია?

— ლარი გამყარდა, ნუთუ არ გაგიგიათ?

— გავიგე, გავიგე, — ვთქვი უგემურად და ორი ლარი დავუმატე.

მივდიოდი შინ და ვფიქრობდი: მე კი გავიგე, რომ ლარი გამყარდა, მაგრამ ნეტა პენსიონერებს თუ გააგებინეს? იჰ, ეგენი ვიდრე იანვრის პენსიას არ აიღებენ, ვერაფერსაც ვერ გაიგებენ...

**ოტია ჩართოლანი**

# განსჯა

● რა წარმატება მოუტანა ხელისუფლებას 2006 წელმა? თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ გასულ წელს, დავინახავთ, რომ ის რჩეულთა მმართველობის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, რაც კარგად გამოჩნდა ადგილობრივი არჩევნების დროს



◎ ბრიფინგი

# 2006 – საბანკო სისტემისთვის ერთობ წარმატებული იყო



**ოთხ იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ბრიფინგი გამართა და ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ შარშანდელი წელი მეტად წარმატებული იყო ქვეყნის ფინანსური სისტემისათვის.**

რომან გოცირიძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში სტაბილური იყო ლარის გაცვლის კურსი, ეს იმ დროს, როდესაც, რუსეთმა ფაქტობრივად ქართულ პროდუქციას გზა გადაუკეტა. საბოლოოდ წლიური ინფლაცია მხოლოდ 8,9 პროცენტი იქნება. წარმატებით შესრულდა სავალუტო ფონდის ყველა მიზნობრივი და ინდიკატორული მაჩვენებელი. არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რომ ამ განვლილი ორი წლის განმავლობაში ჩვენ სავალუტო ფონდის პუნქტი დაგვერღვიოს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წარმატებით დაიწყო სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება, რომელიც საბანკო სექტორში მოქნილი და თანამედროვე ინსტრუმენტია. ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმად მთავრობის დავალიანება ეროვნული ბანკის მიმართ გადაფორმდა ფასიან ქაღალდებად, რომელიც გამოიყენება ეროვნული ბანკის ღია ოპერაციებში.

2006 წლის მაისში ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, კანონით აიკრძალა ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის დაფინანსება, რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთი წინაპირობაა.

2006 წელს გაუქმდა საწესდებო კაპიტალის 25-პროცენტიანი წილის შეზღუდვა, რამაც ხელი შეუწყო საბანკო სექტორში ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოს საბანკო სისტემაში შემოვიდა რამდენიმე მსხვილი უცხოური ბანკი. 2006 წელს პირველად განთავსდა ლონდონის ბირჟაზე საქართველოს ბანკის აქციები.

2006 წელს ორმა ქართულმა ბანკმა ისე შეწყვიტა ფუნქციონირება, რომ მათ მეანაბრეებსა და მთლიანად საბანკო სისტემას ზარალი ან შეფერხება არ განუცდია.

მიღებულ იქნა ნორმატიული აქტი კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის შესახებ.

გამარტივდა ლიცენზიების მიღების პროცედურები და მოთხოვნები. 2006 წელს პლასტიკური ბარათების რიცხვმა ბევრად გადააჭარბა 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

შარშან მაღალი შეფასება მიეცა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას. ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა 1, 2 ლარის და 50 თეთრის ნომინალის ახალი მონეტები. მიმდინარეობს 200-ლარიან ბანკნოტზე მუშაობა.

შარშან, მაგალითად, მეორე კვარტალში სადეპოზიტო ვალდებულებებმა შთამბეჭდავი ოდენობით – 261 მლნ ლარით მოიმატა და ივნისის ბოლოს 1.555 მილიონი ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტით მიღებული დეპოზიტები 144, 3 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტები – 116,7 მლნ ლარით. ანალოგიურად გაიზარდა ბანკების მიერ დაკრედიტების მაჩვენებელი. მეორე კვარტალში უცხოური და ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობამ 288. 2 მლნ. ლარით მოიმატა.

თუმცა მთელი წლის განმავლობაში შემცირდა ეროვნული ვალუტით გაცემული გრძელვადიანი სესხების წილი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი ამ კატეგორიის სესხებზე არ შეცვლილა.

აქტივებისა და დეპოზიტების ზრდის მაღალი ტემპი, ზოგადად საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის ფაქტორის გაძლიერებაზე მეტყველებს. ფიზიკური და იურიდიული პირები სულ უფრო აქტიურად განათავსებენ თავიანთ ფულად სახსრებს სადეპოზიტო ანგარიშებზე.

ბოლოს ბატონმა რომან გოცირიძემ აღნიშნა, რომ საქართველოში 2006 წელს საბანკო სისტემის არნახული ზრდა იყო, როგორიც ბოლო ხუთ წელიწადში არ ყოფილა.

იმედია, 2007 წელი ახალ წარმატებებს მოუტანს ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემას.

**ლალი ქინქლაძე.**

◎ გლობუსი

# გასული წლის

**ახალი წლის დადგომასთან ერთად ადამიანი ავტომატურად თვალს ავლებს უკვე ისტორიას ჩაბარებულ განვლილ წელს და იმედით უმზერს მომავალს. ახალ წელთან ერთად ახალი ოცნებები, ახალი გეგმები, ახალი სურვილები ისახება – უკეთესი და სიკეთით აღსავსე ხვალინდელი დღისათვის.**

ადამიანთა დიდ საკრებულოს – სახელმწიფოს, ისე, როგორც ცალკეულ პირს, საკუთარი გეგმები და მიზნები აქვს, რომელთა მიღწევას ადამიანთა ის მცირე ჯგუფი უზრუნველყოფს, რომელსაც ხალხის რჩეული ჰქვია. ხალხის დიდი საკრებულო სწორედ მას ავალებს საკუთარი ქვეყნის, მისი თუნდაც ერთი მოქალაქის სიცოცხლეს, ბედნიერებას და კეთილდღეობას.

ხალხისა და მის მიერ არჩეული ხელისუფლების იდეალური, ჰარმონიული თანაცხოვრება, ჯერჯერობით, კაცობრიობის აუსრულებელ ოცნებად რჩება, თუმცა ბევრმა ქვეყანამ დიდი ძალისხმევისა და ჭკუა-გონების ვარჯიშით შეძლო იდეალთან ნახევრად მიახლოება. საქართველო დიდი მანძილით ჩამორჩება ამ მხრივ წარმატებულ ქვეყნებს. ჩვენში არსებული პოლიტიკური თუ საზოგადო მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, საქართველო, ამ ეტაპზე, შუაგულ ოკეანეში უკომპასოდ დარჩენილ ნავს წააგავს.

თითოეულის ცხოვრებიდან გაფრენილი ერთი წლის შეფასება არცთუ იოლი საქმეა, ვინაიდან ის, რაც ერთს მნიშვნელოვნად მიაჩნია, მეორე, არაფრად თვლის მას. მსგავსებაა სახელმწიფო მოვლენათა შეფასებისას. დიდი საკრებულოსა და მის რჩეულთა შეხედულებები კარდინალურად განსხვავებულია. რჩეულებს თავი მოსწონთ დისნეილენდებით, შადრევნებით, ქუჩებ-



ში ნათურების ჩამოკიდებით, სანაგვე ყუთების დადგმით, ზოგიერთი ქუჩის დაწებებით, რეზერვისტთა ბანაკებით, მსოფლიოში საქართველოს სახელის შორს გატანით, გაეროს, ევროკავშირისა და სხვა მრავალი კავშირის ტრიბუნებიდან სიტყვათა ფრქვევით, ამერიკასთან კარგი ურთიერთობით, რუსეთისათვის შესაფერისი ადგილის მიკუთვნებით, ქვეყნის ეკონომიკის მოჩვენებითი წინსვლით, სასწავლო პროცესის მოდერნიზებითა და სხვა მრავალით. ვინაიდან ხელისუფლების მიერ 12 თვის მანძილზე გაკეთებულ-გაუკეთებელმა საქმეებმა მკვეთრი დაპირისპირება შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში, მოდით, სულ სხვა კუთხით შევაფასოთ 2006 წელი.

რა წარმატება მოუტანა ხელისუფლებას 2006 წელმა? თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ გასულ წელს, დავინახავთ, რომ ის რჩეულთა მმართველობის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, რაც კარგად გამოჩნდა ადგილობრივი არჩევნების დროს. ადგილობრივმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, იგებს ის, ვინც ქვეყნის თავშია, ვინაიდან კანონსაც სათავისოდ ის ქმნის, არჩევნებსაც ის ატარებს, ხმებსაც ის ითვლის და გამარჯვებასაც ის ზეიმობს.

მსგავსი უნიკალური მონოლითურობით მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა გამოირჩევა, მაგრამ ზოგიერთთა სამწუხაროდ, მათი რიცხვი კატასტროფულად კლებულობს. პალესტინის ავტონომიაშიც კი, სადაც სისხლიანი დაპირისპირება ლამის ცხოვრების წესად იქცა, საყოველთაო არჩევნები დემოკრატიულად და სუფთად ჩატარდა. მსგავსს ჰქონდა ადგილი ჩილეში, ნიკარაგუაში, ეკვადორში, ბოლივიაში, ვენესუელაში, სხვაგან და სხვაგან. სარეკლამო კლიპის – საქმე ქართულის მსგავსად, არჩევნები ქართულის მიხედვით, ხელისუფლებამ პირწმინდად მოიგო ადგილობრივი არჩევნები, რაც ძალაუფლების სამომავლო, კიდევ უფრო განმტკიცების უვერტიურად იქცევა. წინ, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია.

ხელისუფლების ლაღი მოქმედების ფონზე ოპოზიცია, როგორც ყოველთვის, ულიმღამოდ გამოიყურებოდა. მან ვერაფერი დაუპირისპირა მოწინააღმდეგის მანევრებს და ისევ ძველი ხერხი გაიხსენა: ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტის პლენარულ სხდომებს. აქაოდა, მადა ჭამაში მოდისო, ოპოზიციამ ადგილობრივ არჩევნებსაც გამოუცხადა ბოიკოტი, თუმცა ოკეანისგადაღმელ პატრონთა მკაცრი რჩევის შემდეგ, უმალ შეცვალა გადაწყვეტილება და შედეგიც დამსახურებულად მოიპოვა. არჩევნებში ოპოზიციის მონაწილეობამ გაათეთრა ხელისუფლების ერთპარტიული მმართველობის სურვილები. ამიერიდან დასავლელთა თვალის ასახვევად, თითო-ოროლა ოპოზიციონერი, ოკეანედქცეულ ნაციონალთა შორის, თოვლის კაცივით საჩვენებელი ობიექტი იქნება. როგორც ჩანს, მსგავს სურათს ვიხილავთ მომავალი არჩევნების შემდეგაც.

ერთობ საინტერესო და „დამაიმედებელია“ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის კალკულაცია. მისი მიხედვით, არჩევნები რომ დემოკრატიულად ჩატარებულიყო, სწორედ ისინი გაიმარჯვებდნენ და არა ხელისუფლება და მრავალი რომ. მათი გათვლებით ოპოზიცია აუცილებლად გაიმარჯვებს, მაგრამ როდის? ალბათ, თუ კარგად მოიქცევიან, ამ საუკუნის 30-იან წლებში. როგორც თვით ოპოზიცია აცხადებს, კარდინალურ საკითხებში მას იგივე მიდგომა აქვს, როგორც ხელისუფლებას. ალბათ ამიტომაც არ სჯერა ხალხს ოპოზიციის. თუ საშინაო და საგარეო საკითხებში ოპოზიცია-ხელისუფლების აზრები იდენტურია, რატომ იჩემებენ ზოგიერთები ოპოზიციონერობას?

ხელისუფლების მიერ გატარებულმა არასასურველმა რეფორმებმა, საზოგადოების მცირე ნაწილს თუ „შეუტოკა“ სიმები, რაც პარლამენტის შენობის წინ გამართულ „სალარო აპარატების მოწინააღმდეგეთა“ რამდენიმედღიანი მიტინგით გამოიხატა. ოპოზიციამ აქაც ისახელა თავი და უკეთესი მომავლის დაპირებით, დაშალა მიტინგი. ხალხისადმი მიცემულ სიტყვას, მაისის ბოლოს გრანდიოზული მიტინგის გამართვის თაობაზე, ცხადია არც მიტინგი მოჰყოლია და არც არავის გახსენებია დანაპირები.

გასულმა წელმა თავი დაგვამახსოვრა უნივერსიტეტთან გამართული უშედეგო აქციებით. ილაჯგაწყვეტილმა მეცნიერებმა ვერაფრით მოახერხეს ვერც თბილისელთა და ვერც საკუთარ სტუდენტთა მხარდაჭერის მოპოვება. არც სანდრო გირგვლიანის მკვლელობას გამოუწვევია საყოველთაო აღშფოთება. არადა სხვა ქვეყანაში და სხვა საზოგადოებაში, ორივეს, სახალხო გამოსვლები მოჰყვებოდა.

განსაკუთრებული უნიკალურობით გამოირჩეოდა „იგორელთა“ მიერ მოწყობილი თეატრალიზებული მსვლელობები და მიტინგები. მასში მონაწილე მანიფესტანტთა და მათ „მწყემსთა“ მთავარი მიზანი ფული იყო. არავის აინტერესებდა, ვისთვის ან რისთვის ითხოვდნენ მათგან სამართლიანობის ლიდერები მიტინგზე თუნდაც ერთსაათიან, ათლარიან გამოჩენას. „იგორელთა“ უპერსპექტივო „მოძრაობა“ სავალალოდ დასრულდა. მან კიდევ ერთხელ შეგვახსენა ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ყველაფერს ფულით ვერ იყიდი.

იმ საკითხებიდან, რომლებმაც არცთუ პოზიტიურად იმოქმედა

№ 2. შაბათი, 6 იანვარი, 2007 წელი.

• ბიოგაზი – ეს არის ეკოლოგიურად სუფთა საწვავი, რომელიც ცხოველური ნარჩენებისგან მიიღება, ამიტომ ძალზე იაფია და მისი მიღება და მოხმარება, ფაქტობრივად, სოფლად ნებისმიერ ოჯახს შეუძლია



◎ ენერგომომარაგება

# ქარს „უღელი რომ დავადგათ“

***ბუნებრივი რესურსებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ელექტროენერგიის დეფიციტზე ლაპარაკი სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. მით უმეტეს, რომ ჩვენში მარტო ბუნებრივი რესურსები კი არა, ჭკვიანი, გონიერი ხალხიცბლომად მოიძებნება.***

***როინ (თამაზ) ჩაგუნავა ერთ-ერთი მათგანია, ვისაც ხალხში „ხელმარჯვე ოსტატს“ ეძახიან. იგი ხონის რაიონის სოფელ ხიდში დაიბადა და გაიზარდა. საოცრად უყვარს თავისი კუთხე, მშობლიურ რაიონში შვიდი მიკროჰესი აქვს აგებული და ვინ იცის, რამდენ ოჯახს შეუმსუბუქა ის მძიმე წლები, როდესაც საქართველო ლამის ერთიანად იყო ჩაბნელებული...***

– საქართველოში ენერგოკრიზისი არც უნდა არსებობდეს. ქვეყანაში, სადაც უამრავი დიდი და მცირე მდინარეა, სადაც შეიძლება ქარისა და ბიოენერგიის გამოყენება, ეს პრობლემები საერთოდ არ უნდა იყოს, – ამბობს ბატონი თამაზი.

**– მოდით, ჯერ ქარსა და ბიოგაზზე ვისაუბროთ.**

– ჩვენს ქვეყანაში მრავლადაა ღრმა ხევები, სადაც ჰაერი სისტემატურად მოძრაობს მთიდან ბარის მიმართულებით. ქარის „უღელში შებმით“ კი ათობით და ასობით კილოვატი ენერგიის მიღება შეიძლება.

რაც შეეხება ბიოგაზს – ეს არის ეკოლოგიურად სუფთა საწვავი, რომელიც ცხოველური ნარჩენებისგან მიიღება, ამიტომ ძალზე იაფია და მისი მიღება და მოხმარება, ფაქტობრივად, სოფლად ნებისმიერ ოჯახს შეუძლია.

**– რომელ სოფლებში ააგეთ მიკროჰესები და, საერთოდ, როგორ მდინარეებზე შეიძლება ამგვარი ჰესის აშენება?**

– მიკროჰესები, ძირითადად, მცირე ზომის მდინარეებსა და ღელეებზე შეიძლება აიგოს. ამისათვის არ არის აუცილებელი წყალუხვი, დიდი მდინარე. სამი კილოვატის სიმძლავრის ჰესი ხუთ-ექვს ოჯახს ჰყოფნის და მისი აგება ძვირიც არ ჯდება – სულ 1500 დოლარია საჭირო.

მიკროჰესები ავაგე ხონის რაიონის რამდენიმე სოფელში, კერძოდ, სუხჩაში, ხიდში, გორდში, კინჩხაში. ჩემს სოფელში, ხიდში, ორი მიკროჰესია. ერთ-ერთი მათგანი 10 კილოვატის სიმძლავრისაა. სოფელ კინჩხის გამგებლის დახმარებითა და მხარდაჭერით იქ 25 კილოვატის სიმძლავრის ჰესი აიგო. ზემოხსენებულ სოფლებში არსებული პოტენციალის გონივრულად გამოყენებით, კიდევ შეიძლება 300-400 კილოვატი სიმძლავრეების მიღება.





**– საქმიანობაში ხელს თუ გიშლით რამე?**

– მთავარი პრობლემაა უსახსრობა. რაიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, დაუსაქმებელია. ხშირად კაცს პურის ფულის შოვნაც კი უჭირს. აბა, მითხარით, როგორ შეძლებს ასეთი ხალხი მიკროჰესების ასაშენებლად თანხის გაღებას? ეს არის უმთავრესი პრობლემა, თორემ ხონის რაიონის მთიანი სოფლების მომარაგება ელექტროენერგიით ჩვენში არსებული ჰიდრორესურსებითაც არის შესაძლებელი. ამ საქმეში სახელმწიფოს დახმარებაა საჭირო.

მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო შობა-ახალი წელი. ჯანმრთელობა, სიხარული და ბარაქა არ მოკლებოდეს ყველა ოჯახს. 2007 წელს კი ჩვენს ქვეყანაში აღარ ყოფილიყოს არც ერთი ჩაბნელებული სოფელი, ქალაქი, უბანიც კი... ეს ჩემი დიდი ნატვრა და სურვილია.

**ხათუნა ჩიგოგიძე.**

***P. S. ნატვრა კარგია, მაგრამ ქვეყნის კეთილმოწყობა და განათება, როგორც ითქვა, ხელისუფლების მხრიდან სერიოზული ფინანსური დახმარების გარეშე შეუძლებელია. იმედი ვიქონიოთ, რომ უმოკლეს ხანში საქართველოში მართლაც ვეღარ ვიხილავთ გულისმომკვლელად ჩაბნელებულ სახლებს, უბნებს, სოფლებსა თუ ქალაქებს.***

***ხ. ჩ.***

№ 2. შაბათი, 6 იანვარი, 2007 წელი.

◎ გლობუსი

# გასხვენება

ქვეყნის იმიჯზე, პირველია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ანტიქართული რეზოლუცია. ის მრავალი წლის განმავლობაში ცუდად შეგვახსენებს თავს. არანაკლები ნეგატიურობით გამოირჩეოდა რუსი ჯაშუშების გამოვლენა-დაკავების ოპერაცია. ხელისუფლების მოქმედებამ იმდენად გააშმაგა 15-წლიანი ბოლმით აღვსილი რუსეთი, რომ ყოველგვარი პაუზის გარეშე გაიწვია საკუთარი დიპლომატები და თითქმის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის დონემდე დაიყვანა ორი ქვეყნის ისტორიული, მრავალსაუკუნოვანი კავშირები. არც კოდორის მოვლენებს მოჰყოლია დასავლური აპლოდისმენტები. აქ თავი იმავე ოპოზიციამ ისახელა, რომელმაც გამჭრიახობა შეუქო ხელისუფლებას.

უწინდელივით უგერგილოდ იმოქმედა საგარეო პოლიტიკის შემსრულებელმა ორგანომ. ჩანს ამ დაწესებულებას ბედი არ წყალობს. რა ხასიათზე დადგები, როდესაც ნაჩუქარ შენობას მოულოდნელად სხვას მიჰყიდიან? მაგრამ არ მგონია ამ ამბავს მძიმედ ემოქმედოს სამინისტროს ხელმძღვანელობაზე. ისინი ხომ დროის დიდ ნაწილს უცხოეთში ატარებენ. 1996 წლიდან დაწყებული, ყველა მინისტრი, კეკლუცობითა და საზღვარგარეთ უსაგნო ხეტიალით იყო გატაცებული. ამ მხრივ წუნს ვერც დღევანდელს დაუდებთ. სწორედ ყოფილთა, დღევანდელთა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საოჯახო დიპლომატიის შედეგია უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რუსეთთან ურთიერთობის უკიდურესი გაუარესება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის თითქმის არც ერთი სერიოზული, საქმიანი წინადადების წამოუყენებლობა, ნატოში საქართველოს გაწევრიანების გაურკვეველი ვადით გადაწევა და სხვა მრავალი.

დიპლომატია იმაზე მეტია, ვიდრე ქართველ ე. წ. დიპლომატებს ჰგონიათ. ის არ შეიძლება იყოს კუთხური, კლანური, ოჯახური, ძმაკაცურ-მეგობრული. მას მკაცრი მოთხოვნები აქვს, რასაც დღევანდელი საქართველო, ქვეყნის სამწუხაროდ, არ იზიარებს.

ვიწრო დიპლომატიური საკითხებით რომ არ გადავღალო მკითხველი, შევეხები ორ მნიშვნელოვან თემას, რაც უდავოდ იმსახურებს ყურადღებას. საზღვრების დადგენა ნებისმიერი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი რამ არის. სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ძირითადი განმსაზღვრელი, სახელმწიფო საზღვრებია. სამწუხაროდ, ამ დარგშიც საკმაო სიბნელეა. საგარეო უწყების მიხედვით, რომელიც უშუალოდ კურირებს საკითხს, ყველაფერი რიგზეა და სამუშაოები გეგმურად ხორციელდება. არადა, 4 მეზობლიდან 3 ნელ-ნელა ჩვენსკენ მოიწევს. ისინი თავისებურად ავლებენ მათთვის სასურველ საზღვრებს. დავით გარეჯის კომპლექსი და მისი შემოგარენი ამის მომასწავებელია. საქართველოს საზღვრები რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ჯერაც დაუდგენელია. საბჭოთა კავშირს უნდა ვუმადლოდეთ თურქეთთან დემარკირებულ-დელიმიტირებული საზღვრის დატოვებას.

სამინისტროს აპარატისათვის უპირველესი ამოცანა უცხოეთში ხანგრძლივი მივლინებით გამგზავრებაა. საზღვარგარეთი მრავალწლიანი, უდარდელი ცხოვრების გარანტიაა. გამგზავრებულს არც არავინ ეკითხება, რას აკეთებს ადგილსამყოფელ ქვეყანაში. წინათ საელჩოები საკუთარი მუშაობის წლიურ ანგარიშს მაინც აგზავნიდნენ სამინისტროში. დღეს ეს აუცილებელი აღარ არის. სამინისტროში არავის აინტერესებს არც ანგარიში და არც ინფორმაცია. ასეთი გულარხეინობის ვითარებაში უნებლიედ იბადება კითხვა, არის თუ არა საჭირო ამდენი საელჩო უცხოეთში? და რამდენად გამართლებულია წელს, კიდევ ექვსი საელჩოს გახსნა? საქართველოდან ჩასული მაღალჩინოსნების ჩემოდნების თრევისათვის საელჩოთა გახსნა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. საქართველო, მომატებული, მაგრამ მაინც მწირი ბიუჯეტით და საერთაშორისო არენაზე პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობით, ნამდვილად არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ყველგან უნდა ჰქონდეს გახსნილი საელჩო. საქართველოზე მრავალჯერ მდიდარი და გავლენიანი სახელმწიფოებიც კი ერიდებიან ყველა კუთხე-კუნჭულში დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნას. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. კანადას, იაპონიას და ინდოეთს საქართველოში არ აქვთ გახსნილი საელჩოები. იაპონია, აზერბაიჯანში გახსნილი საელჩოდან ფარავს საქართველოს, კანადა – თურქეთიდან, ინდოეთი – უკრაინიდან, ზოგიც – მოსკოვიდან. იაპონიის ელჩმა ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ხსნის იაპონია საქართველოში საელჩოს, ასე მიპასუხა – სათანადო სახსრები არ გვაქვსო. აი ასე, უმდიდრეს იაპონიას არ აქვს სახსრები, ჩვენ გვაქვს.

და რახან დიპლომატია ვახსენეთ, გაკვრით შევეხები ჩვენი „მამა-მარჩენალის“ არცთუ მოზომილ და რაციონალურ დიპლომატიას. აშშ-მა არა მარტო ერაყსა და ავღანეთში იგემა დიპლომატიურ-სამხედრო მარცხი, არამედ ლიბანში, ლათინურ ამერიკაში, ყოფილ საბჭოთა სივრცეში. ნაკლები სიამტკბილობაა ევროპა-ამერიკას შორის. ხისტმა პოლიტიკამ ირანის პრეზიდენტი აჰმადინეჯადი, ჩრდილო კორეის პრეზიდენტი კიმ ჩენ ირი და ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი ლამის გასული წლის გმირებად აქცია.



აშშ-ს შებღალულ რეპუტაციას, ვერც ერაყის ყოფილი პრეზიდენტის სიკვდილით დასჯა უშველის, პირიქით, ამერიკელთა წაქეზებით სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯამ, ევროპის ქვეყნების ლიდერთა უკმაყოფილება გამოიწვია. გაეროს ახალი გენერალური მდივნის პან გი მუნის პირველი განცხადებაც, სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო იყო. აშშ-ს ადმინისტრაციის ზარბაზნებზე დაყრდნობილი დიპლომატია არაერთ ამერიკელს შეიწირავს ერაყსა და სხვაგან. სტატისტიკის მიხედვით, ერაყში 3.000-ზე მეტი ამერიკელი დაიღუპა. თვლა არ აქვს ერაყელთა მსხვერპლს. თვით ამერიკელთა გათვლით, ომის დაწყებიდან 2007 წლამდე, ერაყში 600 000 ადამიანი დაიღუპა. მიუხედავად ამისა, ბუში არ იხევს. ნაცვლად სამხედრო მოსამსახურეთა ერაყიდან გამოყვანისა, ის პირიქით, ახალი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნას აპირებს. ამის შესახებ პრეზიდენტი სულ მალე გააკეთებს განცხადებას.

ძალიან საეჭვოა, რომ საკუთარ პრობლემებში ჩაფლულმა აშშ-ს ადმინისტრაციამ საქართველოს პრობლემებისთვის მოიცალოს. მას ისეთივე ზერელე მიდგომა ექნება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში, როგორც გასულ წელს. ქვეყნისათვის ამ დარგში არც 2006 წელი გამოდგა ნაყოფიერი, თუმცა არის რაღაც „პროგრესიც“, **დღეს საქართველოში 4 პრეზიდენტი და 3 საგარეო საქმეთა მინისტრია. სულ მალე, ალბათ, დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ხელისუფლებაც შექმნის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას. პატივცემულო მკითხველო, ამ იმედით გემშვიდობებით.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**

პოლიტოლოგი.

**● სრულიად კავკასიის ერთობაზე საუბრისას, ეს 77 წლის, გამხდარი, ჭაღარით მოსილი ქალბატონი თითქოს ძლევამოსილ იდეად იქცევა და მისთვის შეუვალ ჭეშმარიტებაში სხვასაც არწმუნებს**





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №84

№ 2. შაბათი, 6 იანვარი, 2007 წელი.



ხმალი „კავკასიის გმირთა ხსოვნისთვის“

## საუბრები ზამთრის საღამოს...

# „ქალბატონი წარსული ათასწლეულებიდან"

**დროში და წარსულის ნოსტალგიაშიც გამოტარებული ამ ფოტოს მიხედვით, ვცდილობდი წარმომედგინა, შუაში მოკრძალებით მდგარი, თეთრთავსაფრიანი გოგონას მომავალი ცხოვრების გზები. მის ერთმანეთზე გადაჭდობილ ამ პატარა ხელებს შემდგომში რაღაც სასწაულებრივი ძალა დაეუფლათ, სულიერიც და ფიზიკურიც...**

*„შეუძლებელია წარმოიდგინოთ, რომ მისი თითქმის ბავშვური ხელები ჭედავენ და ამუშავებენ ლითონს“... — დაწერს გაოცებული* ***რასულ გამზატოვი,*** *დაღესტნის სახალხო პოეტი.*

*„მანაბა მაგომედოვას ხელოვნება აღბეჭდილია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხელწერით და სტილის სინათლით — განმარტავს* ***ლადო გუდიაშვილი*** *— მისი ნამუშევრები ღრმადაა განმსჭვალული მშობლიური მხარის გრძნობით და ღრმა წვდომით საკუთარი ხალხის ტრადიციებში“.*

*იტალიელი მხატვარი* ***ბრუნო მარტინაცი:*** *„ძვირფასო მანაბა, მე ვნახე შენი ნამუშევრები. ისინი მდიდარია ტრადიციებით და ოსტატობით. შენ ხარ ქალბატონი წარსული ათასწლეულებიდან, ის, რომელიც არ ვიცი, როგორ გაცოცხლდა ჩვენს დროში! შენ ამოუცნობი ხარ!..“*

და მაინც, რომელია ის ქვეყანა, ვის ტრადიციებსაც აგრძელებს, ჯერ კიდევ ექვსი წლის ასაკში, თავის ოჯახთან ერთად, საქართველოში გადმოსახლებული მანაბა მაგომედოვა. რომელია მანაბას ის „**საკუთარი ხალხი**“ ლადო გუდიაშვილი რომ მოიხსენიებს?

ვეცადე წარმომედგინა, ამავე ფოტოზე აღბეჭდილი, ღირსების სრული შეგრძნებით გამომზირალი, მისი მშობლებისა და უფროსი ძმის ცხოვრებაც და **სახიერად გამოხატული კავკასიური გენიც, საკუთარი არსის და ქმნადობის ყველა შედეგით...**



მანაბა მაგომედოვა ოჯახთან ერთად

ქალბატონ მანაბას რთული სიტყვათა შეთანხმებანი და აღმატებული ეპითეტები არ უყვარს, მაგრამ დიდი მღელვარება ეუფლება, როცა **სრულიად კავკასიის ერთობაზე,** კავკასიის დიდ სახლზე საუბრობს. ასეთ წუთებში, ეს უკვე 77 წლის, პატარა ტანის, გამხდარი და ჭაღარით მოსილი ქალბატონი თითქოს ძლევამოსილ იდეად იქცევა და მისთვის შეუვალ ჭეშმარიტებაში სხვების დარწმუნებასაც ცდილობს...

* * *

თბილისური, უთოვლო ზამთრის იმ საღამოს, ყოფილი ყორღანოვის (ამჟამად ქიაჩელის ქუჩაზე, ცნობილი ჰიდრომშენებელი ინჟინრის, ტრაგიკული ბედის პიროვნების, ვლადიმერ ჯიქიას ოჯახში ვისხედით. მის კეთილშობილ ქალიშვილებს ქალბატონ ნანას და ქალბატონ მარინეს სხვა სტუმრებთან ერთად მანაბა მაგომედოვაც მიეწვიათ.

ამ ოჯახში უჩვეულოდ ორგანულად ჟღერდა არა მარტო კავკასიური იდეა, („კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს და ეს ფიქრია კავკასიის თავისუფლება“ — **ილია**ძ, არამედ კავკასიურ ქესტებზე საუბარიც...



მანაბა მაგომედოვა. მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი

ცნობილია, რომ გასული საუკუნის დასაწყისში, თბილისის ოპერის თეატრში, ვლადიმერ ჯიქია, მაშინ სამხედრო-საზღვაო კომისარი, ტრიბუნასთან მივიდა და წამოჭრა ეროვნული ჯარის შექმნის საკითხი. იქ დამსწრე რუსეთის სამხედრო კომისარი შეესიტყვა: საქართველო რუსეთის კურორტია და ეროვნული ჯარი ამ ქვეყნისთვის ზედმეტი ბარგიაო.

მაშინ ვლადიმერ ჯიქიამ, არც მეტი, არც ნაკლები, გაუქანა და ხელი ისე გაარტყა ამ რუსის ჩინოსანს, რომ იგი ორკესტრის ორმოში გადავარდა...

ქალბატონი მარინა სრულიად სამართლიანად ამაყობს მამის ამ ჟესტით და ილია ჭავჭავაძის სიტყვებსაც ზეპირად წარმოსთქვამს: „დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება! მთელი კავკასი... ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა...“

* * *

„მანაბა მაგომედოვას შემოქმედებაში შერწყმულია კუბაჩური და ქართული ტრადიციები — წერს ხელოვნებათმცოდნე **ნინო ზაალიშვილი** — ის მრავალმხრივი მხატვარია. ერთნაირი ოსტატობით ფლობს ვერცხლის და სხვა ლითონების დამუშავების მრავალფეროვან — სევადის, გავარსის, ფილიგრანის, გრავირების, ზარნიშის, ცვარის, ინკრუსტაციის ხერხებს, ტიხრული და ფერწერული მინანქრის ხელოვნებას... კარგად ანაწილებს ორნამენტსა და გამოსახულებას... და მაინც, მთავარი მისთვის არა ტექნიკური საშუალებები, არამედ ნამუშევარში ჩაქსოვილი აზრია. დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრისთვის ლიტერატურულ, მუსიკალურ შთაბაჭდილებებს, ისტორიული ფაქტებისგან მიღებულ იმპულსებს...“

*მანაბა მაგომედოვა: ამას წინათ რუსთაველის თეატრში გურამ საღარაძის იუბილეს ვესწრებოდი... როცა ის ილიას კითხულობდა, ჩემი ცხოვრების ის საუკეთესო პერიოდი დამიდგა თვალწინ, როცა ილია ჭავჭავაძეზე ვმუშაობდი... მერე მან ბარათაშვილი წაიკითხა. ბარათაშვილის „მერანიც“ ხომ გადავიტანე ჩემს ხელოვნებაში.. „დროშები ჩქარაო!“ — თქვა მსახიობმა... გალაკტიონის „დროშები ჩქარა“ ხომ მეც შევქმენი ლითონში. პოეტის პორტრეტთან ერთად ვეცადე ამ სტრიქონების დინამიკაც ამემეტყველებინა... ამით მინდა ვთქვა, რომ ეს ყველაფერი, ძალიან ქართული, ჩემი სამყაროა, ჩემი შთაგონების წყაროა...*

როცა მშობლიურ დაღესტანში დავბრუნდი, საქართველო უსაზღვროდ მომენატრა და მივხვდი, რომ ამ ქვეყნის გარეშე ვერასდროს გავძლებ...

* * *

გარეთ კი უთოვლო, თბილისური იანვარი იდგა... ჩვენ სიამოვნებით ვუსმენდით „ქალბატონს წარსული ათასწლეულებიდან“, ვათვალიერებდით ძველ ფოტოებს... მერე მასპინძელმა, ქალბატონმა **მარინე ჯიქიამ,** ერთი სიფრიფანა ფურცელი შემოიტანა, 2002 წელს დაწერილი, მანაბა მაგომედოვასადმი მიძღვნილი პატარა ტექსტი და ხმამაღლა წაიკითხა.

იგი ჩვენი შეხვედრის და საუბრის ბოლო აკორდივით აჟღერდა... „კვირაძალის“ მკითხველს, რომელმაც ვფიქრობთ, ზუსტად წარმოიდგინა იმ კამერული საღამოს განწყობილებებიც და სულისკვეთებაც, მარინე ჯიქიას ამ სიტყვას უცვლელად ვთავაზობთ:

### მთვარის შუქი

***მანაბა მაგომედოვა კავკასიის ძველ ადათ-წესებზე, მის მაღალ კულტურაზე აღზრდილი ხელოვანი — ვერცხლმჭედელია. ამიტომ მისი მდიდარი სულიდან და ნათელი გონებიდან კავკასიური მხატვრული ენერგია მოედინება. ამიტომ იგი, ვერცხლის ეტლზე დაბადებული, ლითონებიდან მხოლოდ ვერცხლს ეთაყვანება.***

იხ. 9 გვ.



იმამ შამილის პორტრეტი

• „ვინა სთქვა, დიდთა ქართველთა —
ქართველებს დაგვყვა შიმშილი...“



# შობასა და ახალ წელს გვილოცავს

## ჯანსუღ ჩარკვიანი

### ჩემი მცირე კალენდარი

ასე, ცრემლით და სიმღერით
მაშ, რა იღბალმა შეგვყარა?
— აი, თამარის ქვეყანა,
აი, რუსთველის ქვეყანა.

ვინა სთქვა, დიდთა ქართველთა —
ქართველებს დაგვყვა შიმშილი...
იანვრის სამში აღზევდა —
ექვთიმე თაყაიშვილი.

ჩვენ, ოთხ იანვარს — ქართველნი,
დიდ სიყვარულთან მივედით,
იშვა, ილია მეორე, —
ქართველი ხალხის იმედი.

იმღერე, ერო, იმღერე,
ცრემლს სიმღერის დროს ვინ მოგგვრის,
იანვრის რვაში მობრძანდა —
ლეონიძეანთ გიორგი.

უფლის ფასი თუ არ ვიცით,
მაშ რწმენას რისთვის დავნებდით?
რვა აპრილს, ქრისტე აღსდგა და
ჩვენა ვართ, — ქრისტიანები.

ჩვენა გვაქვს, ჩვენი წარსული,
აწმყოსაც ვაქცევთ მერმისად,
ზეობს, თოთხმეტი აპრილი, —
დღეი, — ქართულის ენისა.

ჩვენს დედა უნივერსიტეტს
არ უწერია შიმშილი —
ოცდასამ აპრილს, მზეს მოჰყვა
ივანე ჯავახიშვილი.

მოდი, ისიც ვთქვათ, ფაშიზმით,
თავი ვინც გამოიტენა,
ოცდაათ აპრილს, ის თავი
როგორ მოიშთო ჰიტლერმა.

ბედნიერი ხარ მამულო,
დღეს თუ სიმღერით იღვრები,
მაისის ცამეტს გვესტუმრა,
სარაჯიშვილი, სიმღერით.

აწმყოც ჩვენია, წარსულიც,
ხვალის მზეც არ იქუფრება,
ოცდაექვს მაისს გეღირსა
ქართველო, თავისუფლება.

მარადის გქონდეს, ქართველო,
იმედი დიდი მოსავლის,
ოცდაერთ ივნისს, მობრძანდა, —
აკაკი — დიდი მგოსანი.

ჩემი ქართული სისხლისა,
ვაჟაა გამომსახველი,
მე, თოთხმეტ ივლისს ფშავში ვარ, —
ვაჟა-ფშაველას სახელით.

და სამომავლოდ, სახელი
მართლა თუ ვინმემ გაგვითქვა,
თორმეტ აგვისტოს — „დიდგორის“
ომი მოიგო დავითმა.

დედაო-ენავ, მარადის,
შენთვის სუფრა გვაქვს გაშლილი,
ზეობს, ოცდაშვიდ ოქტომბერს —
იაკობ გოგებაშვილი.

ნოემბრის სამში, მერწმუნეთ,
კვლავ ახალ აკვანს გათლიან,
მუხლს ვუყრი, სულხან საბასა,
ორბელიანთა განთიადს.

მე, რვა ნოემბერს — კვლავ ვამბობ,
მავანი თუნდაც გავეშდეს,
არც არვინ არ ვიქნებოდით,
დიდი ილიას გარეშე.

დროშები, ჩქარა დროშები,
ახალი სხივი მომალდა,
ჩვიდმეტი ნოემბერია —
გალაკტიონი მობრძანდა.

მთაში რაცაა მზის გულში,
ისაა ბარად გაშლილი,
დეკემბრის ოთხში, მერანზე
ზის ტატო ბარათაშვილი.

აი, ოცდაერთ დეკემბერს,
მე ჩემს კალენდარს ვტოვებ და
სოსო ჯუღაშვილს მივიჩნევ,
მართლა ბრწყინვალე პოეტად.
....
„მე რად გამოგრჩი“ — მეტყვი და
თავს გაუტოლებ იმ მველებს,
ბოღმას, თავიდან კი არა,
მერე და მერე იმენენ...

უი, შენც დაბა-დებილ-ხარ,
მაგრამ არსად არ წერიხარ,
ვინა ხარ, გაჩნდი ვისაგან,
ან, რომელი თვის მწერი ხარ...

უი, შენც დაბა-დებილ-ხარ,
ხან ფხიზელო და ხან მთვრალო,
ამ მურტალ საუკუნეში,
ახლიდან მოსანათლავო.

2006 წლის 29 დეკემბერი

№ 2. შაბათი, 6 იანვარი, 2007 წელი.




„კვირაძალს საკითხავის“ ფოტოგალერიის — „ქართული ალბომის“ გამო ხშირად გვეხმაურებიან. როგორც ჩანს, მოსწონთ ჩვენი წინაპრების განსაკუთრებული დახვეწილობა, პოზა თუ გამომეტყველება... მოსწონთ ძველ ფოტოგრაფთა ერთფეროვანი რეკვიზიტრაც, ფოტოატელიების ბანალური აქსესუარებიც...

მოსწონთ სურათის გადასაღებად შეძლებისდაგვარად შერჩეული აკადემიური ტანსაცმელიც...

იყო დრო, საოჯახო ფოტოების გადაღება ერთგვარი რიტუალი გახლდათ, მთელი სერიოზულობით მომზადებული...

ეს შეჩერებული წამები ჩვენი წინაპრების ოჯახურ იდილიათა ერთგვარ მატიანედ იქცა — მყარი, ქართული ოჯახების არსებობის ილუსტრაციად.

ამ ფოტოზე ხედავთ აჭარაში მოღვაწე ცნობილ პედაგოგს მიხეილ შარაშიძეს, თავის ულამაზეს მეუღლე ბაბალესა და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად.



## „[illegible]“

(მერვე გვერდიდან)

უკვე ორი წელია მშობლიურ დაღესტანს დაუბრუნდა. საქართველოს კი სახსოვრად დაუტოვა ვერცხლმჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშები. მათზე გამოსახულია: ყელ-ყურ ლამაზი ნიამორები, გრძნეული ირმები, ჯიხვების ხტომა, ფრინველების ირაო, ნატიფი რტოები და მთის ყვავილები... სევადით დაფერილ ვერცხლში ჩაყინულია ნამის წვეთები, წვიმის წვეთები და დილის ნისლი...

წლების მანძილზე ძველ თბილისურ სახლში ცხოვრობდა. უყვარდა მუშაობა ხის ჩუქურთმებიან აივანზე და ასევე ნარიყალაზე, სადაც ესმოდა მტკვრის ტალღების, მეთუნუქეების ჩაქუჩების თუ არღანთა დაუვიწყარი ხმები. საუკეთესო ნამუშევრებს ღამით მთავარის. მკრთალ შუქზე ქმნიდა. ამიტომ მის ქმნილებებში ჩაღვრილია მთვარის თვალი და ისინი თითქოს მთვარის შუქს გამოსცემენ.

მანაბა მაგომედოვას კავკასიური ვერცხლმჭედლობის შედევრებს, რომლებზედაც დაქარგულია საქართველოს სიყვარული, ქართველები მფარველი ჯვარივით ატარებენ.

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე



# სხვადასხვა

ხელისუფლება დღენიადაგ აცხადებს, ეკონომიკური აღმავლობის გზით მივდივართო. კი, მაგრამ რომ არ იგრძნობა? რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ ხალხმა ცოტა მაინც ამოისუნთქოს? რა აწუხებს დღეს უპირველესად ადამიანებს?



ნაახალწლევს

# რა უნდა ბავშვს ქუჩაში!..

## ქუჩაში გასეირნება სახელდახელო ინტერვიუს ჩასაწერად

*ჩვენს ეკონომიკას რომ უჭირს, არხალია, მით უმეტეს დღეს, როცა ჩვენმა ექსპორტიორებმა ქართულ ეკონომიკაზე კარგად მორგებული რუსეთის ბაზარი დაკარგეს და ახლა ახალი ბაზრების მოძიებაში არიან. ბაზრის მოძიება ერთია, დაპყრობა კი მეორე, ამას რამდენიმე წელი მაინც დასჭირდება. ხელისუფლება დღენიადაგ აცხადებს, ეკონომიკური აღმავლობის გზით მივდივართო. კი, მაგრამ რომ არ იგრძნობა? რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ ხალხმა ცოტა მაინც ამოისუნთქოს? რა აწუხებს დღეს უპირველესად ადამიანებს?*

*ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად რამდენიმე რესპონდენტს ვესაუბრე, მათი ნაუბარი უკლებლივ ჩავიწერე, არც არაფერი დამიმატებია და არც არაფერი დამიკლია. განსჯა კი თქვენთვის მომინდია, პატივცემულო მკითხველო.*

*გულიკო შვანგირაძე, სიმონ მაისურაძე, ნათელა ონოფრიშვილი, თაკო ჯიბლაძე, თინათინ სერგია სხვადასხვა პროფესიისა და წლოვანების არიან, მათ ყველას ცალ-ცალკე და სხვადასხვა დროს ვესაუბრე, ყოველი მათგანი საქართველოს გამთლიანებაზე ოცნებობს და იმედოვნებს, რომ, როცა ეს მოხდება, ეკონომიკაც გაძლიერდება და მათაც ნორმალური ცხოვრების საშუალება მიეცემათ. უჭირთ, მაგრამ არ წუწუნებენ, თუმცა სიმართლეს კი ამბობენ.*

**გულიკო შვანგირაძე** 5-6 წელია ჭიათურიდან ჩამოსულა თბილისში. ადრე ქუჩაში ვაჭრობდა, ახლა ცენტრალურ სუპერმარკეტში მუშაობს.

— მეუღლემ ორი შვილით მიმატოვა და სხვა ოჯახი შექმნა, — ამბობს ქალბატონი გულიკო, — იძულებული გავხდი, თბილისში წამოვსულიყავი, რადგან ჭიათურაში სამუშაო ვერ ვიშოვე, შვილები რომ დამეპურებინა. თავდაპირველად მარტო წამოვედი, აქ ახლობელი მეგულებოდა და იმას მივაშურე, აშენდა მისი ოჯახი, თავის ბინაში კუთხეც გამომიყო და ერთი-ორი წელი მასთან ვცხოვრობდი. შვილები დროებით დედაჩემს დავუტოვე. იმდენი მოვახერხე ვაჭრობით, დანაზოგი გამიჩნდა და ერთი პატარა ოთახი ვირაოთი ავიღე. ახლა შვილებიც აქ მყავს. უკვე სკოლაში დადიან, მამა ალიმენტითაც კი ვერ ეხმარება შვილებს, რადგან არ მუშაობს. მე კი ვწვალობ, მაგრამ რა ვქნა, ახლა არა მიშავს, გადახურულში მაინც ვზივარ...

**— ქალბატონო გულიკო, როგორ ფიქრობთ, დავიბრუნებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს?**

— ეჭვიც არ მეპარება, ასე რომ იქნება, ხომ ასე ვწვალობ, დღე და ღამე გასწორებული მაქვს, მაგრამ მზად ვარ, კიდევ მოვითმინო, ოღონდ საქართველო გამთლიანდეს.

**სიმონ მაისურაძე** ონის რაიონის მკვიდრია. საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი დაუმთავრებია. ახლობელმა მშენებლობაზე მოაწყო მუშად.

**— ბატონო სიმონ, მშენებლობა ცუდი არ არის, არ გაგიჭირდებათ, ახალგაზრდა, კუნთმაგარი ვაჟკაცი ჩანხართ. ახლა თბილისში მშენებლობის ბუმია...**

— კი, მართალია, ბევრი სახლი შენდება, მაგრამ სამუშაო მაინც ჭირს. თუ ნაცნობი არა გყავს, მუშადაც არავინ აგიყვანს. მეც ჩემმა ახლობელმა მომაწყო, მშენებლობის საქმე არ მესმოდა, ახლა კი გვარიანად გავერკვიე. მთავარია, რომ ვმუშაობ. თან მეუღლე მყავს და ერთი შვილი.

**— გიჭირს მათი შენახვა?**

— მეუღლეც მუშაობს. ერთი კითხვა მაქვს და არ შემიძლია თქვენ მაინც არ გკითხოთ: სახელმწიფოს თუ ამდენი სპეციალისტი არ სჭირდება, რაღას გვაწვალებს? მარტო მე რომ ვიყო, კიდევ არაფერი, მაგრამ ჩემთან მშენებლობაზე სამი ექიმი, ერთი იურისტი, ორი მასწავლებელი მუშაობს. ვფიქრობ, სახელმწიფოს ჩვენგან მხოლოდ მუშები და მოსამსახურე პერსონალი სჭირდება. მოგვხედოს მთავრობამ ახალგაზრდებს, თორემ ასე სადამდე გასტანს? დადგება დრო და უმაღლესდამთავრებულ სპეციალისტთა ჩამოყვანაც უცხოეთიდან მოუწევს ჩვენს ქვეყანას. სხვისი არ ვიცი, მე კი ასე ვფიქრობ.

**ნათელა ონოფრიშვილი** — ჟურნალ-გაზეთების გამყიდველი.

**— ქალბატონო ნათელა, გაზეთებით ვაჭრობა რამდენად სარფიანია?**

— ხან როგორ და ხან როგორ. ღლესაც გააჩნია და გაზეთსაც. ზოგჯერ ისე დაასათაურებენ წერილს, იძულებული ხდები, იყიდო, ბევრი მხოლოდ სათაურებს გადაიკითხავს და თუ რომელიმეთი დაინტერესდა, იყიდის, თავად ფილოლოგი ვარ და კარგად მესმის სიტყვის ფასი.

**— ხალხს უფრო როგორი პრესა აინტერესებს?**

— მე თუ მკითხავთ, სერიოზული — არა, ბევრი გასართობ ჟურნალ-გაზეთებს ყიდულობს.

**— ასეა ჩემო ბატონო, საბაზრო ეკონომიკამ პრესასაც დაატყო თავისი ხელი. ჩვენ, ჟურნალისტები, მაინც ჩვენსას ვცდილობთ: ვიყოთ მართალი საკუთარი თავისა და სინდისის წინაშე. ერთი მაინც მინდა გკითხოთ, თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ცხოვრების დონე ამაღლდეს? პირადად თქვენ რა პრობლემა გაწუხებთ?**

— უპირველესად, ხალხის დასაქმებაზე უნდა იზრუნონ, სამუშაო ადგილები უნდა შექმნან. ამდენი დანაშაულიც იმიტომ ხდება, ხალხი რომ არ მუშაობს. ყველაფერს რომ ყიდიან, და გასაყიდიც აღარაფერი დარჩებათ, მაშინ რაღას იზამენ? სად მიდის აღებული ფული? კი მაგრამ, ბევრი მსხვილი საწარმო რომ გაიყიდა, და მაინც წლობით არ მუშაობს, რატომ პასუხს არ თხოვენ? ახლა ვითომ უკანონო პრივატიზაციის საბაბით საკუთარ ქონებას რომ ართმევენ მეწარმეებს, ეს სამართალია? ჯერ აღგნენ და პარლამენტის, მთავრობის წარმომადგენლებს წაართვან საკუთარი ბიზნესი, რა არ აქვთ კაპიკებში ნაყიდი ქონება? მე ვიცი და ვისაც პასუხი მოეთხოვება, მათ არ იციან? შვილებზე, ცოლებზე, დებზე აქვთ გადაფორმებულები, ეს ხომ თვალში ნაცრის შეყრაა...

**თაკო ჯიბლაძე**, საბავშვო ბაღის აღმზრდელი: — ხელფასი 40 ლარამდე მაქვს. 40 ლარი კი ერთი ინდაური ღირს ბაზარში, განა საშინელება არ არის? დედა სამი წელია, ლოგინად მყავს ჩავარდნილი და იმის ფული არ მაქვს, თბილისში ჩამოვიყვანო და საავადმყოფოში დავაწვინო. კი, ბატონო, მოვიდა ახალი წელი, მაგრამ არანაირი სიხარულის გრძნობა არ მაქვს. ბაზარში შეხვალ და გული გაგისკდება, ისე ძვირია ყველაფერი. არ ვიცი, რა მეშველება. ამ ხელისუფლების ძალიან მჯეროდა, სულ მიტინგებზე დავდიოდი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ჩვენი საშველი არ არის.

**თინათინ სერგია** თბილისელია, ბანკში მუშაობს. არ დაუმალავს, რომ ხელფასიც კარგი აქვს და საკუთარი ბიზნესიც გააჩნია. შემოსავალს არ უჩივის — სხვებივით არ დავიწყებ, ცარიელი ხელით დავიწყე ბიზნესიო, — თქვა ქალბატონმა თინათინმა, — ჩემი მეუღლე რამდენიმე წელი მოსკოვში მუშაობდა, ბიზნესში იყო ჩართული, ორი წლის წინათ ჩამოვიდა და მერე აქ წამოვიწყეთ საქმიანობა. მართალია, ფინანსური პრობლემა ნამდვილად არ მაწუხებს, მაგრამ როგორ შეიძლება არ გაწუხებდეს შენი ახლობლის, მეგობრის ბედი, როცა იცი, რომ უჭირს? ქალაქში ყოველ ფეხის გადადგმაზე მათხოვარი ბავშვები გვხვდებიან. ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოაგვაროს ეს საქმე. რა უნდა ბავშვს ქუჩაში? მაგრამ ვიცი, ეს არც თუ ისე უბრალო საკითხია, მაგრამ არც ისეთი, მთავრობას მისი აღმოფხვრის საშუალება არ ჰქონდეს. მთავარია, პოლიტიკური ნება იყოს ასეთი. ქუჩის ვაჭრობა ხომ აიკრძალა და ერთი შეხედვით მოწესრიგდა და კანონის ჩარჩოებში მოექცა. ნუთუ მათხოვარი ბავშვების პრობლემის მოგვარება ასე ძნელია? გამიგია, რომ არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა ამ საქმეში ჩართული, მაგრამ როგორც ჩანს, მათაც არაფერი გამოსდით. ისევ ხელისუფლებამ უნდა აიღოს ხელში ამ საკითხის მოგვარება.

**ასე რომ, ჩემმა კორესპონდენტებმა არაერთი და ორი სერიოზული პრობლემისა თუ სურვილის შესახებ ისაუბრეს, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თავიანთ არგუმენტებში თითოეული მათგანი შესაშურად გულწრფელი იყო და ამისათვის დიდი მადლობა მათ.**

**მე ჩემს პირობას ვასრულებ, როგორც მათ შევპირდი, შეულამაზებლად გადმოგეცით თითოეულის ნაუბარი, მთავარია მათ, ვისაც გადაწყვეტილების მიღება და საქმის რეალურად გაკეთება შეუძლია, ყურად იღონ ხალხის თხოვნა. იმედი ვიქონიოთ, ასეც იქნება.**

**ყოველ შემთხვევაში, ასე მინდა იყოს.**

**ნაზი იმნაიშვილი**

# საქართველო კვლავ ადასტურებს, რომ ერთგულობს ნატოში გაწევრიანების კურსს

**საქართველო განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას ნატოსთან „ინტენსიური დიალოგის“ ფარგლებში, რომლის საბოლოო მიზანიც არის ქვეყნის გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ნიკოლეიშვილმა.**



„ჩვენ ვიმყოფებით „ინტენსიური დიალოგის“ სტადიაში და ვემზადებით მივიღოთ ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა. ვცდილობთ, ყველაფერი შევასრულოთ გეგმის მიხედვით და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისთვის, რომ მივაღწიოთ იმ ფორმას, რომელიც საქართველოს მისცემს ნატოში შესვლის შესაძლებლობას“, — თქვა მან.

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს „სერიოზულ კონსულტაციებს“ ნატოს წარმომადგენლებთან. 2007 წლის იანვრის დამლევსა და თებერვლის დამდეგისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა ჯგუფი ჩავა ნატოს შტაბბინაში, რათა წარმოადგინოს თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო ანგარიში კონსულტაციათა შესახებ, განაცხადა ლევან ნიკოლეიშვილმა. „ამის შემდეგ თბილისს ეწვევიან ნატოელი ექსპერტები. ჩვენ სერიოზულად ვემზადებით ექსპერტთა ამ ჯგუფის მისაღებად. ვაპირებთ, ვუჩვენოთ მათ რაც შეიძლება მეტი რეალურად გაკეთებული საქმე და ხაზი გავუსვათ იმას, რომ რაღაც ნამდვილად გაკეთდა“, — აღნიშნა მან.

როგორც ლევან ნიკოლეიშვილმა თქვა, 2006 წელს საქართველოსთვის არმია იყო პრიორიტეტული სფერო, რაც აისახა კიდეც მის დაფინანსებაზე და, შესაბამისად, საბრძოლო მომზადებაზე.

„გასულ წელს თავდაცვის სისტემაში მოხდა სერიოზული ცვლილებები. 2006 წელს გავმართეთ რამდენიმე წვრთნა, შეიძლება ითქვას, შეიარაღებულმა ძალებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მათი მომზადების დონე მაღალია, და ეს ყველაზე მთავარია. ჩვენმა სამხედრო მოსამსახურეებმა გამოიჩინეს თავი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საერთაშორისო ოპერაციების დროს“, — თქვა ლევან ნიკოლეიშვილმა.

შეეხო რა საქართველოში შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ფორმირებას, ნიკოლეიშვილმა განაცხადა: „ეს შტაბი უკვე ფაქტობრივად ჩამოყალიბებულია, ახლა უნდა დასრულდეს მუშაობა იურიდიულ დოკუმენტებზე“. თავდაცვის მინისტრის თქმით, საქართველოს შეიარაღებული ძალები უკვე ფორმირებულია, როგორც სისტემური ორგანიზმი. „ეს ის ორგანიზაციაა, რომელსაც ქვეყანაში ეკისრება ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა და მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა. საკადრო ცვლილებების მიუხედავად, თავდაცვის სამინისტრომზად არის შეასრულოს ნებისმიერი ამოცანა, რომელსაც მას მთავარი სარდალი დაუსახავს, და საკადრო გადაადგილებები არ მოახდენენ გავლენას აღებულ კურსზე“, — განაცხადა ლევან ნიკოლეიშვილმა.

Страна.RU

# დემოკრატთა კონგრესი პრეზიდენტ ბუშს „სიცოცხლეს გაურთულებს“

**ხუთშაბათს მუშაობა დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 110-ე სესიამ. ამ ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად, კონგრესის ორივე პალატაში უმრავლესობა დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა.**

მას შემდეგ, რაც ახლადარჩეულმა კონგრესმენებმა და სენატორებმა დადეს ფიცი, კაპიტოლიუმის ბოცვზე, პრინციპში, შეიცვალა ხელისუფლება — ახლა უკვე შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს თეთრი სახლის გავლენა.

პრეზიდენტმა ბუშმა, რომელმაც შეიძლება დაკარგოს ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე ზემოქმედების მრავალი ბერკეტი, უკვე გამართა მოლაპარაკება ნენსი პელოსისთან — პირველ ქალთან, რომელიც სათავეში ჩაუდგა წარმომადგენელთა პალატას მისი არსებობის 218 წლის განმავლობაში.

როგორც უმრავლესობის ლიდერი და პალატის სპიკერი, ნენსი პელოსი კონსტიტუციის თანახმად არის გავლენით მესამე პირი სახელმწიფოში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისა და ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის შემდეგ.

თავის პირველ გამოსვლაში პელოსიმ განაცხადა, რომ ეცდება აღადგინოს გამჭვირვალეობა პალატის მუშაობაში და გაამკაცროს ეთიკური წესები კონგრესმენებისთვის.

ერაყის ომთან დაკავშირებით პელოსიმ თქვა, რომ ამერიკელებმა ხმა მისცეს ძველი გეზის შეცვლას. როგორც წარმომადგენელთა პალატის მეთაურმა აღნიშნა, ერაყელებმა მეტი ძალისხმევა უნდა გაიღონ თავიანთი ქვეყნის დაცვისთვის. მან მოუწოდა პრეზიდენტ ბუშს, რომ შეუწყოს ხელი ერაყში სტაბილურობას და დაგეგმოს ამ ქვეყანაში ამერიკელთა ჯარების ხელახალი დისლოკაცია.




ჯერ კიდევ 110-ე კონგრესის მუშაობის დაწყებამდე, პელოსიმ გამოაქვეყნა მანიფესტი. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ნაბიჯები, რომლებიც დემოკრატებმა უნდა გადადგან პირველი 100 საათის განმავლობაში. ამ ღონისძიებათა შორის არის მინიმალური ხელფასის გადიდება და ბრძოლა კორუფციის აღმოფხვრისთვის.

დემოკრატებს იმედი აქვთ, რომ მოახდენენ გავლენას ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე.

მრავალი მათგანი კონგრესში აირჩიეს იმის წყალობით, რომ ილაშქრებდნენ ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, როგორც მიმომხილველები მიიჩნევენ, დემოკრატთა კონგრესი ეცდება ყოველმხრივ „გაურთულოს ცხოვრება“ პრეზიდენტ ბუშს, თუმცა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მათ შეძლონ საქმე მიიყვანონ აღებული კურსის სრულ შეცვლამდე.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

| № | ობიექტის დასახელება მისამართი | შენობა-ნაგებობის დახასიათება | ფართი კვ.მ | მიწა წილობრივად კვ.მ (საერთო სარგებლობაში) | საწყისი ფასი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | ბიჯი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | „ბე“ აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | 1 სა[illegible] ქირა | მონაწილის ბ[illegible] ღირ[illegible] ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ისანი-სამგორის რაიონი, ბაღდადის ქ. № 9-ში მდებარე შენობის მე-2 სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი (ყოფილი „თბილყოფრემშენი“ს № 11 სარემონტო სამმართველოს საქმიანი ეზოს ადმინისტრაციული შენობის II სართული) | 2 სართულიანი შენობა | 628,7 | 481,99 | 120000 | 5000 | 20000 | | 50 |
| 2 | ისანი-სამგორის რაიონი, მოსკოვის გამზ. № 18, კორპ. № 2 | 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფი | 154,79 | | 25000 | 1000 | 5000 | | 50 |
| 3 | ისანი-სამგორის რაიონი, თეთრი ხევის მესის ქ. № 5-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი (ნაგებობა № 1-ში I სართული 174,68 კვ.მეტრი (მ.შ. 28,78 კვ.მეტრი ფართობი (ოთახი № 1) დატვირთულია სერვიტუტით), II სართული 229,06 კვ.მეტრი, ნაგებობა № 2 საერთო ფართით 30,8 კვ.მეტრი | შენობა-ნაგებობა № 1- 2 სართულიანი, ნაგებობა № 2-1 სართულიანი | | 1018,11 | 80000 | 2000 | 10000 | | 50 |
| 4 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თემქის დასახ. IV მკრ. კორპ. № 1 | 16 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ნახევ-სართული | 8,4 | | 1500 | 100 | 300 | | 20 |
| 5 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დ.გურამიშვილის გამზ. № 41ა-ში (ლიტერ „ა“), ს/ს „ტრანსმშენის“ ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი ფართი | 8 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის I სართული | 108,27 კვ.მ (მ.შ. 14 კვ.მ (ოთახი № 6) დატვირთულია სერვიტუტით | | 16000 | 1000 | 3500 | | 50 |
| 6 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის დასახ. I მკრ. № 39 ბაგა-ბაღის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა და ლითონის კონსტრუქციები (ყოფილი თბილყოფრემშენის № 8 სამმართველო) | ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობა № 1 | 71,70 | 629 | 45000 | 1000 | 9000 | | 50 |
| 7 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მუხიანის დასახ. I მკრ. კორპ. № 5ა-5ბ (ლიტერ „ა“) | 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის I სართული | 189,2 | | 40000 | 1000 | 8000 | 846,59 ლარი | 50 |
| 8 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის დასახ. VIII მკრ. კორპ. № 9 | 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის I სართული | 152,2 | | 30000 | 1000 | 6000 | 207,4 ლარი | 50 |
| 9 | დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ნ.ჩხეიძის ქ. № 24 (ლიტერ „ბ-ვ“) | ერთ სართულიანი ნაგებობა (I სართული) | 3,49 | | 500 | 50 | 100 | | 20 |
| 10 | დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. № 65 | 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლის სარდაფი | 78,04 | | 10000 | 500 | 2000 | | 50 |

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09. 11. 06წ. № 16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 4 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 2 თებერვალს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-29-94.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2006 წლის 29 დეკემბრის №54 (499)-ში.

## ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის და ქ. თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენ. ინსპექციის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების (წიგნების კარადა (3 ც.)) პრივატიზებას:

| № | [illegible] | ავტომანქანის მარკა, სახ. № | გამოშვების წელი | საწყისი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე“ აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-21063 სახ.№WWW-083 | 1992 | 550 | 50 | 150 |
| 2 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-21063 სახ.№ABI-931 | 1998 | 1200 | 100 | 350 |
| 3 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-2105 სახ.№AZH-755 | 1996 | 1100 | 100 | 300 |
| 4 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | [illegible] სახ.№PAL-838 | 1993 | 1500 | 100 | 500 |
| 5 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ოპელ-ომეგა 2.6 სახ.№AOA-613 | 1991 | 1800 | 100 | 600 |
| 6 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-31029 სახ.№POL-137 | 1996 | 1500 | 100 | 500 |
| 7 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ოპელ-ომეგა სახ.№POL-247 | 1988 | 1100 | 100 | 300 |
| 8 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-31029 სახ.№POL-218 | 1993 | 1200 | 100 | 350 |
| 9 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | მიცუბიში სახ.№AZU-076 | 1988 | 1300 | 100 | 400 |
| 10 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-2121 სახ.№POL-960 | 1993 | 1000 | 50 | 300 |
| 11 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | მერსედეს-ბენცი 608 დ სახ.№POL-312 | 1979 | 1500 | 100 | 500 |
| 12 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | BMW-732 სახ.№POL-929 | 1984 | 750 | 50 | 200 |
| 13 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვოლვო 740 სახ.№POL-910 | 1984 | 1000 | 100 | 300 |
| 14 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-21043 სახ.№POL-180 | 2000 | 1250 | 100 | 350 |
| 15 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-21213 სახ.№HHH-949 | 1998 | 2000 | 100 | 700 |
| 16 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-31029 სახ.№POL-191 | 1996 | 1250 | 100 | 350 |
| 17 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ოპელ-ვექტრა სახ.№POL-062 | 1989 | 1600 | 100 | 500 |
| 18 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | [illegible] LX სახ.№POL-212 | 1997 | 1100 | 50 | 300 |
| 19 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-21213 სახ.№PAL-151 | 1997 | 1250 | 50 | 350 |
| 20 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-2109 სახ.№OHD-008 | 1985 | 1000 | 50 | 300 |
| 21 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | [illegible] | 1985 | 900 | 50 | 200 |
| 22 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-21213 სახ.№PAL-383 | 1998 | 1400 | 100 | 400 |
| 23 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-31512 სახ.№POL-318 | 1990 | 600 | 50 | 150 |
| 24 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-21063 სახ.№POL-363 | 1990 | 750 | 50 | 200 |
| 25 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-452 სახ.№OOB-138 | 1986 | 500 | 50 | 100 |
| 26 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-2108 სახ.№BSO-566 | 1986 | 1000 | 100 | 300 |
| 27 | [illegible] | ვაზ-2410 სახ.№VVV-128 | 1985 | 1000 | 50 | 300 |
| 28 | საქ. [illegible] სამინისტრო | ვაზ-21213 სახ.№SSS-290 | 1997 | 1200 | 50 | 350 |
| 29 | საქ. [illegible] სამინისტრო | [illegible] სახ.№ACS-154 | 1993 | 3900 | 200 | 1200 |
| 30 | საქ. [illegible] სამინისტრო | ვაზ-31029 სახ.№ARD-823 | 1994 | 1500 | 100 | 500 |
| 31 | საქ. [illegible] | [illegible] სახ.№ABA-792 | 1997 | 2700 | 100 | 800 |
| 32 | საქ. [illegible] | [illegible] 19 სახ.№AKA-794 | 1998 | 1250 | 100 | 350 |
| 33 | [illegible] | [illegible] სახ.№VIP-103 | 1997 | 3000 | 100 | 1000 |
| 34 | საქართველოს [illegible] | [illegible] სახ.№DAC-138 | 2004 | 8800 | 700 | 2400 |
| 35 | საქართველოს [illegible] | ვაზ-31029 სახ.№RRR-472 | 1996 | 1400 | 100 | 400 |
| 36 | საქართველოს [illegible] | [illegible] სახ. № YY-237 | - | 800 | 50 | 200 |
| 37 | საქართველოს [illegible] | ვაზ-2107 სახ.№OOO-380 | 1998 | 1250 | 50 | 350 |
| 38 | საქართველოს [illegible] | ვაზ-3102 სახ.№OCO-513 | 1988 | 500 | 50 | 150 |
| 39 | საქართველოს [illegible] | ვაზ-3102 სახ.№MAR-047 | 1997 | 750 | 50 | 200 |
| 40 | საქართველოს [illegible] | ვაზ-3110 სახ.№OIF-109 | 1997 | 1600 | 100 | 450 |
| 41 | საქართველოს [illegible] | ვაზ-31029 სახ.№OIF-281 | 1995 | 1400 | 100 | 400 |
| 42 | საქართველოს [illegible] | ვაზ-31029 სახ.№AAA-441 | 1994 | 1300 | 100 | 400 |
| 43 | [illegible] | ვაზ-31029 სახ.№KII-777 | 1996 | 750 | 50 | 200 |
| 44 | საქ. [illegible] | ვაზ-2109 სახ.№UUU-519 | 1989 | 575 | 50 | 150 |
| 45 | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო | [illegible] სახ. №VIP-109 | 1997 | 600 | 50 | 150 |
| 46 | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო | ოპელ-ომეგა 2.0 სახ.№ VIP-242 | 1991 | 875 | 50 | 250 |
| 47 | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო | ვაზ-31029 სახ.№UUU-119 | 1996 | 1000 | 50 | 300 |
| 48 | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო | ვაზ-31029 სახ.№ADF-100 | 1997 | 550 | 50 | 150 |
| 49 | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო | ოპელ-ომეგა სახ.№ VIV-213 | 1991 | 1000 | 100 | 300 |
| 50 | ქ.თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენ.ინსპექცია | წიგნების კარადა (3 ცალი) | - | 300 | 50 | 50 |

შენიშვნა: მონაწილის ბილეთის ღირებულება თითოეული ლოტისთვის განისაზღვრა 10 ლარის ოდენობით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. № 16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 3 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველი სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 1 თებერვალს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-29-94.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2006 წლის 29 დეკემბრის №54 (499)-ში.

№ 2. შაბათი, 6 იანვარი, 2007 წელი.

# დღის ამბები

**• მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აგრეთვე ის, რომ მე-20 საუკუნეში კავშირგაბმულობის განვითარებასა და შენარჩუნებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით გამორჩენილ ადამიანებს, პროფესიონალებს, რომლებმაც თავდაუზოგავად იშრომეს, რათა განვითარებულიყო ქვეყანაში საკომუნიკაციო, საინფორმაციო საშუალებები საერთაშორისო სტანდარტების დონეზე**

## საპროტესტო აქცია გორში

**აქცია მიმდინარეობს გორში, მდინარე ლიახვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ბაზრობასთან, სადაც , გვიან ღამით გარემოვაჭრეთა დახლები აიღეს.**

მოვაჭრეები ხელისუფლებისა და საპატრულო პოლიციის ამ ქმედებას აპროტესტებენ.

როგორც ისინი აცხადებენ, ბანკიდან კრედიტი აქვთ აღებული, თანხის დასაფარავად კი 6 თვის განმავლობაში მაინც ვაჭრობაზე ნებართვა სჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქციის მონაწილეები უკიდურესი ზომების გამოყენებით იმუქრებიან.



მოვაჭრეებმა ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობასთანაც გადაინაცვლეს.

## ქართველები ცხინვალის იზოლატორში

**ყალბი ვალუტის რეალიზაციის ბრალდებით დაკავებული სამი ქართველი, კვლავ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების შინაგან საქმეთა იზოლატორში რჩება.**

ოსი „ძალოვნები" ჯერჯერობით არანაირ განცხადებას არ აკეთებენ იმასთან დაკავშირებით, თუ როდის მოხდება მათი გათავისუფლება.

როგორც ცნობილია, რამინ ლეკიშვილი, ლუხუმ მილდიანი და სანდრო ბუქური ოსურმა მხარემ რამდენიმე დღის წინათ დააკავეს. მათ 100-ათასი ყალბი დოლარის რეალიზაციაში ადანაშაულებენ.

როგორც დაკავებულების ახლობლები აცხადებენ, ოსური მხარის ბრალდება ცრუ და უსაფუძვლოა. მათივე თქმით, რამინ ლეკიშვილმა აღნიშნული თანხა ბანკიდან გამოიტანა, რათა კონფლიქტის რეგიონში თავის ნაცნობ მილდიანთან ერთად ავტომანქანა „კამაზი" იაფად შეესყიდა. რაც შეეხება ბუქურს, იგი უბრალოდ მძღოლი იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, ოსური მხარის მიერ ქართველების დაკავება 2 იანვარს ორი ოსი ეროვნების მამაკაცის დაკავების ფაქტს უკავშირდება.

## ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდა

**როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 86-108 კმ-ში (მლეთა - კობის მონაკვეთზე) მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.**

ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვრის საავტომობილო გზის 75-110 კმ-ში მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 130-145 კმ-ში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. ამავე საავტომობილო გზის 93-130 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.



დიდთოვლობის გამო, ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის 125-144 კმ-ში (ონი-შოვის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა თავისუფალია.

ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 42-105 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 0-52 კმ-ში ყველა ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

ლიპყინულის გამო, ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 70-184 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ზვავსაშიშროების გამო, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 45-50 კმ-ში (ნაქერალას უღელტეხილი) 12 სთ-დან 17 სთ-მდე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო 17 სთ-დან 12 სთ-მდე მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## 7 იანვარი ტელეკომუნიკაციების მუშაკთა დღეა

# მეკავშირეობა საპატიო, ღირსეული საქმეა

**კავშირგაბმულობა რომ უძველესი დარგია ეჭვი არავის ეპარება. ამის დასტურია ის, რომ თითოეული ქვედარგების წარმოშობა-განვითარებას საფუძველი ჯერ კიდევ საუკუნეების მიღმა ეყრება. კერძოდ: სატელეგრაფო კავშირი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. პირველი სატელეგრაფო კავშირი 1858 წლის ზაფხულში დამყარდა თბილისსა და კოჯორს შორის; პირველი ტელეფონი ამუშავდა თბილისში 1882 წელს. „კავკაზის" რედაქციასა და სტამბას შორის, ხოლო 1886 წელს თავადმა ზ. ჯორჯაძემ სატელეფონო ხაზი გაიყვანა რკინიგზის სადგურთან არსებულ ღვინის საწყობსა და გოლოვანის პროსპექტზე მდებარე საკუთარ ღვინის კანტორას შორის. საქართველოში რეგულარული ყოველდღიური რადიოგადაცემები დაიწყო 1926 წლის ოქტომბრიდან; 1953 წელს დაიწყო თბილისის ტელეცენტრის პროექტირება, 1956 წლის ბოლოს კი მწყობრში ჩადგა ცნობილი სატელევიზიო ანძა, რომლის სიმაღლე 185 მეტრი იყო. ამ პერიოდიდან დაიწყო სატელევიზიო პროგრამების რეგულარული გადაცემები.**

საფოსტო კავშირი ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომელმაც განვითარება ჯერ კიდევ მე-12-მე-13 საუკუნეებიდან დაიწყო. 1665 წელი ითვლება სახელმწიფო ფოსტის დაარსების წლად.



ჩვენში კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარება პიკს მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღწევს. მაგრამ სამოქალაქო ომის შედეგად იგი ძირითადად დაინგრა და განადგურდა. აღორძინება დაიწყო 1993-1994 წლებიდან და სულ მოკლე პერიოდში თითქმის სრული რეაბილიტაცია განიცადა. მე-20 საუკუნის ბოლოს და ამ საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა ახალი კერძო კომპანიები, რომლებმაც მაღალი სისწრაფით განავითარა ელექტროკავშირგაბმულობა. მათი მოკლე ჩამონათვალი ასე გამოიყურება: შპს „მაგთიკომი", შპს „მობილეტი", შპს „ტელენეტი", შპს „ჯეოსელი", შპს „ახალი ქსელები", „შპს „ტექნო-მედია", შპს „საბატელი", „სს „გლობალ ერთი", შპს „კავკასიის ციფრული ქსელი", შპს „კეთილი ნების კომუნიკაციები — გუდვილკომი", შპს „საქართველოს ტელეკომი", შპს „ჯორჯია ონლაინი", შპს „შავი ზღვის ტელეკომი", შპს „ვანექსი", შპს „ახტელი", შპს „კავკასიის ნეტვირქი", შპს „სანეტი", შპს „საქართველოს რკინიგზის ტელეკომი", შპს „ჯეონეტი", სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" და სხვა. საკმარისია ითქვას, რომ შპს „ჯეოსელის" აბონენტთა რაოდენობამ რამდენიმე დღის წინათ ერთ მილიონს გადააჭარბა.

არიან ადამიანები, რომლებიც გამორჩეული ნიშან-თვისებებით, საქმის წინაშე დიდი ამაგით, მამულიშვილობით, პროფესინალიზმით, სანიმუშო მაგალითით ორიენტირი ხდებიან. ასეთ ადამიანთა შორის მეგულება საუკუნის ბოლოს კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, სწორედ მისი მინისტრობის პერიოდში დაიწყო ქვეყანაში განადგურებული კავშირგაბმულობის საშუალებების აღდგენა. მასვე უნდა მივაწეროთ რამდენიმე ახალი კერძო მძლავრი კომპანიის ჩამოყალიბება, რომლებმაც გარკვეული კვალი დაამჩნია ელექტროკავშირის მუშაობის გაუმჯობესებას. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ დროისათვის კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირის დირექტორს ავთანდილ იაშვილს, რომელმაც იქ წამოწყებულ მამულიშვილური საქმე გააგრძელა „ახალ ქსელებში", სადაც მოკლე პერიოდში 150000-ზე მეტი ნომრის ტევადობის სატელეფონო სადგურები შემატა ქვეყანას.

დარგის განვითარება, სრულყოფა უდიდესი საქმეა, არანაკლებ საყურადღებოა მისი მსოფლიო მასშტაბით აღიარება. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა თანამედროვე მსოფლიოში ორგანულად ინტეგრირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება, რაც ერთის მხრივ, ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტიაა, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის გაწეული მომსახურების მაღალ დონესა და თავდაცვისუნარიანობას.

აი, ამ დევიზით 1994 წლის 7 იანვარს მსოფლიო საერთაშორისო ელექტროკავშირის ორგანიზაციამ აღიარა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა და მიანიჭა საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო კოდი — 995. იგი არეგულირებდა ტელეფონების, რადიო და ელექტროკავშირის სხვა საშუალებების სიხშირეებს, რათა კავშირი შეუფერხებლად განხორციელებულიყო ნებისმიერი ქვეყნების აბონენტებს შორის. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი და შემსრულებელი გახლდათ კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, რომელმაც დიდი შრომისა და გარჯის შედეგად დაარწმუნა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს კავშირგაბმულობის გაწევრიანების შესახებ და მიაღწია კიდეც.

ახლა ისმება კითხვა: დარგი მრავალპროფილიანია, თითოეულ მათგანს რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღი აქვს. ძნელია მათ შორის გამონახო ისეთი საერთო, რომელიც გამოდგებოდა კავშირგაბმულობის დღის აღსანიშნავად. ამდენად, უპრიანი იქნება არა პირველი ფოსტის, ტელეფონის, რადიოს ან ტელევიზიის ჩამოყალიბების დღე, არამედ ყველასათვის საერთო — კავშირგაბმულობის ელექტროკავშირის მსოფლიო საერთაშორისო ელექტროკავშირგაბმულობის ორგანიზაციაში გაწევრიანების დღის — 7 იანვრის საზეიმო დღედ გამოცხადება. ვფიქრობ დაისვას საკითხი ქვეყნის მთავრობის წინაშე და ეს დღე გამოცხადდეს კომუნიკაციების მუშაკთა ერთიან საზეიმო დღედ.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აგრეთვე ის, რომ მე-20 საუკუნეში კავშირგაბმულობის განვითარებასა და შენარჩუნებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით გამორჩენილ ადამიანებს, პროფესიონალებს, რომლებმაც თავდაუზოგავად იშრომეს, რათა განვითარებულიყო ქვეყანაში საკომუნიკაციო, საინფორმაციო საშუალებები საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. უპრიანი იქნება ამ საზეიმო დღეს მოვიგონოთ ზოგიერთი მათგანი, რომელთა გვერდით რამდენიმე ათეული წელი გაგვიტარებია: მინისტრები იაკობ მონიავა, მიხეილ ლულაშვილი, გრიგოლ ქრისტესაშვილი, კონსტანტინე ქავთარაძე, ზურაბ ჩხეიძე, ვლადიმერ კობახიძე, ფრიდონ ინჯია. მინისტრის მოადგილეები ნიკოლოზ ჩხიკვაძე, დავით კაკაურიძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, მიხეილ ინაური, ბორის ბოჭორიშვილი, ვახტანგ სალიბეგაშვილი, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ბუცხრიკიძე, ოთარ ბიწაძე, დარეჯან ჭარბაძე; სამინისტროს საპატიო წამყვანი ხელმძღვანელები ოთარ ლამბაშიძე, ლევან გაბაბოვი, როზა ისახანოვა, რუბენ შიმშელაშვილი, მოსე დავითაშვილი, არჩილ ყარყარაშვილი, შოთა კოფენლუ, ნოდარ ჯიქია, ავთანდილ იაშვილი, რემი გველესიანი, ჯემალ ვაშაკიძე, იუზა ლორია, დიმიტრი კუსისო, მანანა გაფრინდაშვილი, ნანა ღიბრაძე, ანესტი სტეფანიდი და სხვები, თბილისის გამოყოფილ საწარმოთა ხელმძღვანელები მირიან ედილაშვილი, გურამ ხმალაძე, დავით ქავთარაძე, ნუგზარ ბექარაშვილი, გოგი ამაღლობელი, თემურ ღოღობერიძე, გივი კეთილიძე, გელა გელაშვილი, ავთანდილ გაბიტაშვილი, ანზორ კაკაბაძე, ვერა გუნია, იოსებ ნაცვლიშვილი, კოწო წერეთელი, კონსტანტინე ვაშაკიძე, ნუნუ ვაშაკიძე, უშანგი ნუცუბიძე, ვლადიმერ სირაძე, შოთა კოლელიშვილი, დიმიტრი მაჩიტიძე და სხვები. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია და უნდა მოგვიტევონ. ყველა მოკავშირის თავდაუზოგავი და უანგარო შრომის დაფასებაა საჭირო, ვინც მძიმე პირობებში ავითარებდა ამ ერთობ საჭირო, პერსპექტიულ და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგს ქვეყნის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც. დასახელებული პიროვნებებიდან ბევრი დღესაც აგრძელებს საქმიანობას, დარგის დახვეწასა და განვითარებას. გვინდა ვუსურვოთ მათ წარმატებები და მიღწევები.

**ამ პათოსით ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კავშირის სახელით ვულოცავთ კომუნიკაციების სისტემის მრავალათასიან კოლექტივს პროფესიულ დღესასწაულს. მეკავშირეობა ერთ-ერთი ღირსეული და საპატიო საქმეა პროფესიათა შორის და მისი როლი და აუცილებლობა მომავალში უფრო მეტად დაფასდება, იმ სოციალურ თუ ყოფითი პრობლემების გათვალისწინებით, რაც დღეს ასე აქტუალური გახდა. დარგის ყველა მუშაკს, ქვეყნის ყველა მოქალაქეს ვულოცავთ უდიდეს დღესასწაულს — შობის დღეს და ვუსურვებ წარმატებებს საერთო საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.**

**იულონ სამადალაშვილი,**
**საქართველოს ტელეკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კავშირის აღმასრულებელი დირექტორი;**

**მამია სულაბერიძე,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, კავშირგაბმულობის და შრომის ვეტერანი.**

ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის და სეზონის ბოლოს გამოვავლინოთ 33 საუკეთესო ფეხბურთელი, რაც სტიმულატორის როლს შეასრულებს, მოთამაშეებს მოტივაციას გაუზრდის და მიზანსწრაფვას გაუღვივებს. ამასთანავე, დაგვეხმარება ნაკრები გუნდების შევსება-განახლებაში



**მშვილდოსნობა**

# ოთხი საგზურისთვის იბრძოლებენ

**წლევანდელი სეზონი, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა მსგავსად, მნიშვნელოვანი იქნება მშვილდოსნებისთვისაც, რადგან სწორედ 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდება პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები. გვესაუბრება საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი თამაზ ფუტკარაძე.**

— სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქალთა გუნდი ვერ გამოვიყვანეთ. ხარვეზი წლეულს უნდა აღმოვფხვრათ. საამისოდ კარგა ხანია, ვემზადებით. ერთი თვის შემდეგ — 8-10 თებერვალს საქართველოს ზამთრის ჩემპიონატს გავმართავთ დახურულ დარბაზში, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. ამავე სარბიელზე მოეწყობა თასის გათამაშების პირველი ეტაპი m-1 ვარჯიშში ფინალებითურთ. ფაქტობრივად, ამ ორ შეჯიბრებაზე შევარჩევთ იმ ჩუბინებს, რომლებიც 13-17 მარტს იზმირში ზამთრის IX მსოფლიო ჩემპიონატსა და ჭაბუკთა IV მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ.

— **პეკინის საგზურებისთვის როდის იბრძოლებთ?**



— გერმანიის ქალაქ ლაიპციგში (5-13 ივლისს) მსოფლიო ჩემპიონატზე გაირკვევა ის 8 გუნდი და 36 მშვილდოსანი, რომლებიც გაისად ოლიმპიურ თამაშებზე გამოვლენ. თუმცა მანამდე კიდევ რამდენიმე გამოცდა ელით ჩვენს სპორტსმენებს. კერძოდ, კორეაში 1-6 აპრილს მსოფლიო თასის პირველი რაუნდი გაიმართება. ეს მნიშვნელოვანი შეჯიბრება ოთხ ეტაპად ეწყობა (II — იტალიაში აპრილის ბოლოს, III-ანტალიაში მაისის მიწურულს, დასკვნითს კი ინგლისი უმასპინძლებს აგვისტოშიძ და თითოეულში მონაწილეობა სასურველია, რადგან მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია ქულების მიხედვით გამოავლენს 16 საუკეთესო ქვეყანას, რომლებსაც მატერიალურად დაეხმარება. თანაც ამ შეჯიბრებებზე გამოსვლა გამოცდილებას გაგვიმდიდრებს.

— **ჩვენი სპორტსმენებიდან მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი ვის აქვს?**



— საბედნიეროდ, ასეთები მრავლად არიან. ქალთა შორის ნაკრებში მოსახვედრად იბრძოლებენ ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე, ოლგა ლადიგინა, ნატო ბაგრატიონი, იამზე ტალახაძე; ვაჟებში — ლადო ბოლქვაძე, თენგიზ მაღრაძე, ტარიელ ქადიძე, სერგო ვორონოვი, გიორგი ტერუნაშვილი, გიორგი მეჟევიძე, დიტო სორდია და დიმიტრი კირიჩენკო. მათ შორის საუკეთესოებს 13-15 აპრილს ეროვნული ჩემპიონატი გამოავლენს, თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად აუცილებელია ვაჟებმა m-1 ვარჯიშში გამსვლელი 1270, ხოლო ქალებმა 1280 ქულა მოაგროვონ. იმედია, ჩვენი ჩუბინები გერმანიაში პეკინის ოთხ საგზურს მოიპოვებენ.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

**ორბიტაზე**

## ჟურნალისტთა რჩეულნი

**ბუდაპეშტში სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ (AIPS) დაასახელა გასული 2006 წლის საუკეთესო სპორტსმენები. მეორე წელია, ზედიზედ საუკეთესო ათლეტად აღიარეს მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში, რუსეთელი ელენა ისინბაევა და პლანეტის პირველი ჩოგანოსანი, შვეიცარიელი როჯერ ფედერერი.** ქალ სპორტსმენთა პირველ ხუთეულში აგრეთვე შევიდნენ ჟიუსტენ ენენ-არდენი (ბელგია, ჩოგბურთიძ, იანიცა კოსტელიჩი (ხორვატეთი, სამთო თხილამურებიძ, ლორ მანადუ (საფრანგეთი, ცურვაძ, და ამელი მორესმო (საფრანგეთი, ჩოგბურთიძ

საუკეთესო ვაჟ სპორტსმენთა ხუთეულში კი მოხვდნენ ფაბიო კანავარო (იტალია, ფეხბურთიძ, ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ავტორბოლაძ, ასაფა პაუელი (იამაიკა, მძლეოსნობაძ და ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფიძ.



**ხელბურთი**

## ხვალ — სპორტის სასახლეში

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევ ჯგუფში პირველი მატჩი ბალტიისპირელებთან 20:38 დათმო.**

ჯგუფის ფავორიტმა რუმინეთის ნაკრებმაც დიდი ანგარიშით — 38:24 სძლია ბულგარეთის ეროვნულ გუნდს. ორივე წყვილის განმეორებითი შეხვედრები 7 იანვარს გაიმართება. ჩვენი ხელბურთელები ლატვიელებს თბილისის სპორტის სასახლეში უმასპინძლებენ. მატჩი 15:30 საათზე დაიწყება.

**ჭადრაკი**

## დაფის დიდოსტატები

**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდეძ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების რეიტინგი.** კრამნიკთან დამარცხების მიუხედავად, საჭადრაკო ელიტას 2783 ქულით სათავეში უდგას ბულგარელი დიდოსტატი ვესელინ ტოპალოვი, მეორე ადგილზეა ინდოელი ვიშვანათან ანანდი (2779ძ, მესამეზე — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, რუსეთელი ვლადიმირ კრამნიკი (2766ძ, მეოთხე ადგილზე მოულოდნელად გავიდა აზერბაიჯანელი მოჭადრაკე შახრიარ მამედიაროვი (2754ძ.

**განსჯა**

# იქნებ, ჩემი წინადადებებიც გაიზიაროთ

**საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა შარშანდელი სეზონი ურუგვაისთან გამარჯვებით (2:0ძ დაამთავრა, სწორედ იმ ქვეყანასთან (ორგზის მსოფლიო ჩემპიონთანძ, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში ტექნიკური ფეხბურთის მეტრად მიიჩნეოდა. ამიტომაც იყო, რომ 1936 წელს საბჭოთა კავშირის საფეხბურთო არენაზე თბილისის „დინამოს" ქარიშხლისებური შეჭრა საკავშირო სპორტულმა პრესამ მანამდე უჩვეულო ეპითეტით შეამკო: „დიდი ურუგვაელები" — ტემპერამენტიანი, მაღალტექნიკური თამაშისა და ათლეტური აღნაგობისთვის.**

ახლა ეროვნულ ჩემპიონატშიც არდადეგებია, ანუ ფიქრისა და განსჯის დროა. თავიდანვე ვიტყვი: ქართული ფეხბურთის განვითარება-წინსვლისათვის სიახლეა აუცილებელი, საჭიროა ახალი სიო, ახალი სახეები.

მწვრთნელთა გერმანულ შტაბს ხშირად ვსაყვედურობთ (მეტწილად სამართლიანადაც!ძ, მისი წევრები ძირითად დროს სამშობლოში ატარებენ, მნიშვნელოვან მატჩებამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე ჩამოდიანო. ეტყობა, კრიტიკამ გაჭრა და ბოლო ხანებში რაიონებსაც მიაკითხეს, რამდენიმე მატჩს დაესწრნენ. ცხადია, ეს უწინდელზე უკეთესია, მაგრამ არასაკმარისი. საჭიროა, მათ ფუნქცია გავუზარდოთ — ერთეულ მატჩებს კი არა, სისტემატურად უნდა ესწრებოდნენ საფეხბურთო შეხვედრებს თვით რეგიონულ ლიგაშიც კი, რათა წარმოდგენა ქართულ ფეხბურთზე თავად შეიქმნან და არა სხვათა კარნახით (თუმცა, ასეთ რეკომენდაციებს არც მომავალში გამოვრიცხავთძ.

არაერთხელ დამიწერია იმის თაობაზე, რომ ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის და სეზონის ბოლოს გამოვავლინოთ 33 საუკეთესო ფეხბურთელი, რაც სტიმულატორის როლს შეასრულებს, მოთამაშეებს მოტივაციას გაუზრდის და მიზანსწრაფვას გაუღვივებს. ამასთანავე, დაგვეხმარება ნაკრები გუნდების შევსება-განახლებაში.

უძლიერეს ფეხბურთელთა გამოვლენა-დადგენაში, ფედერაციის სპეციალისტების გარდა, უნდა ჩავაბათ გუნდების მწვრთნელთა და მსაჯთა



კორპუსი, სპორტული პრესის ჟურნალისტები, ნაკრების მთავარი მწვრთნელის ჰერ კლაუს ტოპმიოლერის შტაბი, რომელსაც თან დამატებითი ფუნქციაც გაუჩნდება (!ძ.

სასურველია, ყოველწლიურად მოვაწყოთ მინიტურნირი (იქნებ, ამჟამინდელი საფეხბურთო ჩემპიონატის ოთხთვიანი შესვენებით გვესარგებლა?ძ, უმაღლესი ლიგის 2 გუნდის (აღმოსავლეთ-დასავლეთისძ, პირველი (18 გუნდიძ და რეგიონული ლიგების (სულ 49 გუნდი ფოთის რესტავრირებული კოლექტივის ჩათვლითძ, გაზეთ „სარბიელის" მიერ გამოვლენილი სიმბოლური ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

ეს წინადადებები ახირება არ არის, სხვათა გამოცდილებაა გათვალისწინებული: საუკეთესო ფეხბურთელთა სიები საბჭოთა სინამდვილიდან არის აღებული, მინიტურნირების ჩატარების იდეა — ესპანეთის და ჩვენი — ქართული გამოცდილების გათვალისწინებით. გასული საუკუნის 30-იან წლებში, მაგალითად, პერიოდულად ეწყობოდა თბილისის „დინამოს" მატჩები საქართველოს ნაკრებთან, საკოლმეურნეო შეჯიბრებების გამარჯვებულებთან. მინიტურნირებისას მთავარი გუნდისთვის არჩევდნენ საუკეთესო ფეხბურთელებს. ასე მოხვდა 20 წლის ვალიკო ვახვახიშვილი ახალგაზრდულიდან პირველ გუნდში.

ასე რომ, ეს წინადადებები სპონტანურად არ წარმოშობილა. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასელექციო მუშაობას. ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ნოდარ ახალკაცმაც ხომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ვეთანხმები ნებისმიერ იდეას, რომელიც ხელს შეუწყობს სასელექციო მუშაობასო.

იქნებ, ჩემი წინადადებებიც გაიზიარონ.

**გიორგი მახარაძე,**
სპორტულ ჟურნალისტთა
ასოციაციის წევრი.

## ჯინსების ეშინია

**რა უცნაურობები აღარ ახასიათებთ სპორტის, ესტრადის, ბალეტის და სხვა „ვარსკვლავებს": ზოგს სასტუმროს ნომერში ფუმფულა, ფოჩებიანი პირსაწმენდი აშინებს, ზოგი დილაადრიან ხილის წვენს ითხოვს, ზოგსაც უცხოპლანეტელების მიერ მოტაცება ელანდება.**

საახალწლოდ თავისი უცნაურობა გამოამჟღავნა ფეხბურთის ვარსკვლავის დევიდ ბექჰემის ცოლმა ვიქტორიამ. მისი აზრით, ჩვეულებრივ ჯინსებს მომღერლის დაღუპვა შეუძლია.

„ბოლო ხანებში მაცვია ჯინსები, რომელიც ხერხემლის არეში ძალზე მიჭერს. ამ ვიწრო ჯინსებით შინ დაბრუნებულს მეჩვენება სასაფლაოს ძეგლი წარწერით: ვიქტორია ბექჰემი, დაიღუპა ბამბეულის ძსოვილით".



**კალათბურთი**

# ელიტის ზეობა



**სეზონის განახლება მორიგი წარმატებებით აღნიშნეს ესპანურმა (4ძ, ბერძნულმა (3ძ, თურქულმა და რუსულმა (2-2ძ კლუბებმა, რომლებმაც ევროლიგის პირველი ჯგუფური რაუნდის X ტურის მატჩები მოიგეს.**

ქართველი უკანახაზელის მანუჩარ მარკოიშვილის გუნდი ლიუბლიანის „ოლიმპია" სტუმრად შეუპოვრად ებრძოდა გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტს „პანათინაიკოსს", თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდა — 74:83. აღსანიშნავია, რომ ელადელები ტურნირის ერთადერთი მონაწილენი არიან, ჯერჯერობით უდანაკარგოდ რომ ასპარეზობენ. **ყველაზე შედეგიანები:** ცარცარისი (17 ქულაძ, დიკუდისი (13 ქულაძ — „პანათინაიკოსი"; რანიკო (18 ქულაძ — „ოლიმპია".

გაუწყებთ ამ დღეებში გამართული სხვა შეხვედრების შედეგებსაც:

**„ა" ჯგუფი.** „ტაუგრესი"-„რეინი" 97:68, „პროკომი"-„ოლიმპიაკოსი" 64:73, „ბოლონია"-„დინამო" 80:101, „ლე მანი"-„ეფესი" 67:71.

„ტაუგრესი" — 9, „ოლიმპიაკოსი" — 8, „ეფესი", „დინამო" — 6-6, „პროკომი" — 4, „ლე მანი" — 3, „ბოლონია", „რეინი" — 2-2 მოგება.

**შემდეგი ტური:** „რეინი"-„ბოლონია", „ეფესი"-„ტაუგრესი" (10 იანვარიძ, „დინამო"-„პროკომი", „ოლიმპიაკოსი"-„ლე მანი" (11 იანვარიძ.

**„ბ" ჯგუფი.** „რომა"-„მაკაბი" 88:81 (დამატებით დროშიძ, „პარტიზანი"-„ხუვენტუდი" 74:83, „უნიკახა"-„ციბონა" 73:67.

„პანათინაიკოსი" — 10, „ხუვენტუდი", „მაკაბი" — 6-6, „უნიკახა", „რომა", „პარტიზანი", „ციბონა" — 4-4, „ოლიმპია" — 2 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ოლიმპია"-„უნიკახა" (10 იანვარიძ, „ხუვენტუდი"-„მაკაბი", „ციბონა"-„პარტიზანი", „რომა"-„პანათინაიკოსი" (11 იანვარიძ.

**„გ" ჯგუფი.** „ბარსელონა"-„ჟალგირისი" 84:67, ცსკა-„პო ორტეზი" 78:58, „არისი"-„ნაპოლი" 80:72, „ფენერბახჩე"-„ბენეტონი" 70:58.

ცსკა — 9, „ბარსელონა" — 8, „ბენეტონი" — 6, „პო ორტეზი", „არისი" — 5-5, „ფენერბახჩე", „ნაპოლი" — 3-3, „ჟალგირისი" — 1 მოგება.

**შემდეგი ტური:** „პო ორტეზი"-„არისი", „ბენეტონი"-ცსკა (10 იანვარიძ, „ნაპოლი"-„ბარსელონა", „ჟალგირისი"-„ფენერბახჩე" (11 იანვარიძ.

# ყოფა

- თვით ქრისტე არ ჩანს, ძვირფას ფარჩეულობაშია გახვეული, ჩანს მხოლოდ მხიარული სახე ყმაწვილისა
- მეორემ უთხრა, მოვესწრებით მაგ დროსო? აბა, შახედე ტელევიზორს, ვის და რაში აძლევენ 35 ათას ლარს? „ჯეო ბარში“ გაიმარჯვაო. ყველამ იცის, იქ რაი აკეთებდა, მაეცათ ჩვენთვინ, ი ფული, მთელ ალაზნი ველს მავხნავდით



**◎ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებიდან**

## როგორ დღესასწაულობდნენ ქრისტიანები შობა-ახალ წელს ძველად

**ადამიანები უხსოვარი დროიდან დღესასწაულობენ ახალი წლის მობრძანებას. ყველა ერს თავისი დღესასწაულის ფორმა გააჩნია და ქრისტიანულ სახელმწიფოებში არავინ თვლის, რომ საეკლესიო წესებს ეწინააღმდეგება მათი მრავალი ათასი წლობით მიღებული ძველი ჩვეულებები.**

საფრანგეთში შობის ღამეს ხის მორს შეუდებენ ბუხარში და მთელი ღამე იწვის. მორი წინდაწინ მომზადებულია და გარეთ დევს, იგი სახლში ახალი წლის დადგომამდე ოჯახის ყველაზე პატარამ უნდა შეიტანოს.

ახლა კი დროა! – იტყვის ოჯახის უფროსი და ყველანი გარეთ გადიან. ყველაზე უმცროსი მორს ღვინოს ჯვარედინად დაასხურებს და გაზეპირებულ სიტყვებს იტყვის: „ღმერთო, მხიარულად გვამყოფე ყველაფერში, ხეირი მოგვე, ცეცხლს ნუ გაგვიქრობ ოჯახში!“.

აბა, ავწიოთ მორი, ამბობს უფროსი. ერთ ბოლოში მე წავავლებ ხელს, მეორეში შენ. ყმაწვილი, რაც ძალა და ღონე აქვს ეწევა, მაგრამ უძნელდება აწევა. კიდევ ასწიე, ნუ გეშინია, ახალისებს მამა, თან ხელს აშველებს და გულით იცინის და უყურებს შვილის ჭაპან-წყვეტას. ყოჩაღ! მორი არ დააგდო, თორემ უბედურება გვეწევა.

ამგვარად, მორს შეიტანენ სახლში და ბუხარში შედებენ. მოუკიდებენ ცეცხლს. შუქი მოეფინება ოთახს. ოჯახის წევრები ბუხარს გარშემო მიუჯდებიან. უფროსები მხიარულად ლაპარაკობენ, პატარები სიხარულით დახტიან. დიდები ახალგაზრდებს არ ჩამორჩებიან.

საფრანგეთში თითქმის ყველა ასრულებს ძველ ჩვეულებას: შობის ღამეს არ დაიძინოს, მხიარულებაში გაატაროს დრო. ქალაქი მთელი ღამე ათასგვარად არის განათებული, გაკაშკაშებული და გათენებამდე ხალხის ხმაური ისმის. პარიზი სიცოცხლით ცხოვრობს. ფრანგებს გართობაში ვერავინ შეედრება.

საფრანგეთის სოფლებში კი, შობის ღამეს მორზე მოუკიდებენ ჯოხებს, დარბიან ჯოხებით მინდვრებში, ბაღებში, ცეცხლს უკიდებენ ხეებს, ძირძ უწვავენ ხეხილებს, რადგან უამისოდ სჯერათ, რომ კარგი მოსავალი არ მოუვათ. მუგუზლებს ინახავენ და როდესაც ელვა-ჭექაა, აანთებენ, მეხი არ დაგვეცემაო.

დღესასწაული ათ დღეს მიმდინარეობს. ამ დროის განმავლობაში განუწყვეტელი მხიარულება აქვთ ყველგან. აქვთ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, ათასგვარი წარმოდგენა ახალგაზრდებისათვის და ასევე უფროსების გასართობად.

**იტალიაში** შობის დღესასწაული შობის წინა დღეს საღამოთი იწყება. ციხიდან ზარბაზნის გასროლა აუწყებს ყველას, რომ დღესასწაული დაიწყო. მაშინვე დუქნები იკეტება და ადამიანები სახლში მიდიან, რომ დანაყრდნენ და ეკლესიაში წასასვლელად მოემზადონ. ქუჩები ცარიელდება, ხალხის ხმა აღარ ისმის. შუაღამისას ქალაქი ცოცხლდება. ქუჩებში მხიარულება, ჟრიამული დგება.

ეკლესიებში მისულ მორწმუნეებს რითიმე მოაგონებენ ქრისტეს შობის ამბავს. მაგალითად, საკურთხეველის მაგიერ გამოქვაბულის ნანგრევებია გაკეთებული, ამ ნანგრევებში ბაგაა და ამ ბაგაში დასვენებულია ხატი ახლადშობილი ქრისტესი.

თვით ქრისტე არ ჩანს, ძვირფას ფარჩეულობაშია გახვეული, ჩანს მხოლოდ მხიარული სახე ყმაწვილისა. იტალიელები ამას წმინდა „ბამბინოს“, ანუ „ბამბინელს“ უწოდებენ. ასეთი „ბამბინოები“ თითქმის ყველა ეკლესიაშია. „ბამბინოსთან“ სხვა ხატებიც არის: აი, სამი მოგვი, რომელნიც მაცხოვრის თაყვანის საცემლად მისულან, აქვეა სახედარი, ხარი და სხვა პირუტყვი. ყველაფერი ლამაზად არის გაკეთებული და მშვენივრად მორთული.

**ესპანეთში** დადგება თუ არა შობის დღესასწაული, ადამიანები გარეთ გამოდიან და სიმღერას იწყებენ. ეკლესიიდან გამოსულები, მთელი ღამე, გუნდგუნდად ქუჩა-ქუჩა დადიან ხელში ანთებული მაშხალით. ზოგი კი თუჯის ყუთით, რაც ძალა და ღონე აქვთ, უბრაგუნებენ ქვებს ან ჯოხებს. ხმაურში კაცი უნებურად ინატრებდა, ნეტავი ყრუ ვიყოვო.

ახალგაზრდები დაიჭერენ რომელიმე გლეხს და მოგვების სცენას დგამენ. აჰკიდებენ კურტანს, ზედ კიბეს, ხილით სავსე კალათას. საწყალ გლეხს ფიქრადაც არ მოსდის, რომ რაღაც ოინს უმზადებენ. დაადგმეინებენ კიბეს და ეუბნებიან: ადი ზედ და მოგვებს დაინახავო. გლეხი ადის კიბეზე. კიბე რამდენიმე ახალგაზრდას უჭირავს ხელით, ცოტათი გვერდზე დახრილი. ეკითხებიან: ჰხედავ მოგვებს? გაკვირვებული გლეხი იყურება და ვერავის ხედავს. აწვდიან დურბინდს. კიდევ ჰკითხავენ: ვერც ეხლა ჰხედავ? კაცო, სად იყურები? მარცხნივ შეხედე. ვერ ხედავ, მოდიან! არავინ ჩანს?

ახალგაზრდები ელაპარაკებიან ისე, რომ საწყალ გლეხს გადარევენ. ამასობაში კიბეს ხელს უშვებენ, კიბე ეცემა და მოტყვილებულ გლეხს ბარტყანი გააქვს დედამიწაზე. ახალგაზრდები ატეხენ სიცილს.

ასე ატარებენ ესპანეთში შობის ღამეს. დანარჩენ დღეებში კი ისევე ერთობიან და მხიარულობენ, როგორც იტალიელები.

**ინგლისში** დიდად სწამთ შობა და პირველ დღესასწაულადაა მიჩნეული, როგორც საფრანგეთში, ისე აქ, შობა უფრო ახალგაზრდების დღესასწაულად არის მიჩნეული. თუ ყმაწვილებთან ერთად არა, შობა ინგლისელისათვის დღესასწაული არ არის. ყმაწვილებს ბევრ საჩუქარს ურიგებენ.

სხვადასხვა მორწმუნეობაა გავრცელებული ინგლისში. შობის ღამეს სოფლებში ინგლისელები დაუვლიან ხეხილის ხეებს, თავს უკრავენ და ვაშლის წვენით რწყავენ, რომ კარგი მოსავალი მოუვიდეთ. ან კიდევ, ილებენ რაიმე ჭურჭელს, ახლიან ხეს და ამტვრევენ.

**გერმანელები** დიდ პატივს სცემენ ღორს. თუ შობის ღამეს გერმანელს ღორი არ ჰყავს, მისთვის შობა, შობა არ არის. რაც უნდა ღარიბი კაცი იყოს გერმანიაში, მთელ ღორს თუ არა, ღორის თავს მაინც იშოვის საშობაოდ. ვინც შეძლებული გლეხია, ის ცდილობს ისეთი ღორი დაკლას შობა ღამეს, რომ სამმა კაცმა ძლივს დაძრას. მხიარულება და დროსტარება გერმანელმა ხალხმა კარგად იცის, ტკბილეულობით და სხვადასხვა სასმელებით.

მოგვაწოდა
**გიორგი სარაჯიშვილმა**

**◎ დარდით სავსე ხურჯინი**

# პრეზიდენტის ნატვრაც ასრულდება

## ქიზიყელი თოვლის პაპის ფიქრები

**ქიზიყელი თოვლი პაპა გამწყალობებთ: „შამოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!“... ყველანი მიცნობთ ნაზუქებით, ჩურჩხელებით, გოზინაყით, „დათუნია“ კანფეტებით... სავსე ხურჯინით.**

მთელი წელიწადია თქვენთვინ ვემზადებოდი. თქვენ ნატვრაი ვიმახსოვრებდი, იქნება, ასრულებაში მივეხმარო-მეთქი...

შამოვდგი ფეხი და... მაშინვე ელდა მეცა! რომ მიხაროდა, თავისუფალ ქვეყანაში მეღირსება ფეხი დადგმაი და ქართულად დავილოცები-მეთქი, სულ ამაო ყოფილა. წითელქუდა სანტა-კლაუსების ჟივჟივ და ჟრიამულ ცა და ქვეყანაი მიჰქონდა. პარლამენტი შენობის წინ კი შეუხედავი ჩინური ნაძვის ხე წამოეჭიმათ და ჯაგი-ჯუგი გაემართათ...

ახალი წლის შემობრძანებასაც „თავისუფლების მოედანზე“ „ჟინგოლ ბელი“ მოჰყვა, ისლანდიელი სანტა კლაუსის საპატივსაცემოდ, ხოლო „ჯეო კლაუსებს“ სახლებში საჩუქრები მიჰქონდათ!... მერე



„თოვლი ბაბუა, თოვლი ბაბუაო“, იძახოდა ტელევიზორი. ვილაი ახსოვდა ნაღდი თოვლი პაპა... ან მამაპაპა არ იციან რა არი? ეს ბაბუა საიდანღა მაიტანეს?

ერთ ოჯახში პურობა ჰქონდათ, მივაყურადე. ქიზიყელი კაცი ამბობდა, ისეთ საქართველოი ვისურვებდი, არავისი ვასალი არ ყოფილიყოსო. მერე ჩემი სადღეგრძელოც დალია: „თოვლი პაპაი გაუმარჯოი, ნაღდ პაპაი!“

მეორემ უთხრა, მოვესწრებით მაგ დროსო? აბა, შახედე ტელევიზორს, ვის და რაში აძლევენ 35 ათას ლარს? „ჯეო ბარში“ გაიმარჯვაო. ყველამ იცის, იქ რაი აკეთებდა, მაეცათ ჩვენთვინ, ი ფული, მთელ ალაზნი ველს მავხნავდით. ისაა საქმე, სამადლოდ ტრაქტორი რო გადმაგვიგდეი, წაიღეთ და, თავში ქვა გიხლიათ, როგორც გინდათ, ისე გაიყავით და გაინაწილეთო!...

ამერიკი შამყურენი თუ ხელ არ გავანძრევთ, „ჟინგოლ ბელი“ გვიშველისო?...

დარდობდნენ ქიზიყელი გლეხები... გული მეთუთქებოდა, მართლები იყვნენ. ორმაგად გაძვირებული ცხოვრება მათ წელში ტეხავდა, სარჩო წლიდან –წლამდე ვერ მიჰყვებათ ყურძნი მოსავლი ნაწილს ხორბალზე ცვლიდნენ, ნაწილ კი – ღვინოდ აყენებდნენ, კაპიკებად ქარხანაში ჩაბარებაი რა აზრი ჰქონდა? თანაც, კერძო ქარხნებმა ერთმანეთში პირი შაკრეი და მთლად ჩალი ფასად იბარებდნენ შვილივით ნაზარდ და ნალოლიავებ ყურძენსა...

ერთი მალე შავიდეთ ნატოში. იქნება, ურემივით მოხოხიალე ხალხი ბედზე ზრუნვამ ცოტა წინ წაიწიოს... გააყრუეი ქვეყანა, არიქა, შადრევანი გავხსენითო... შადრევანი გვიშველის, თუ პური არ გვექნა? ან სანტა კლაუსი დაჰკრავს ჯადოსნურ კვერთხსა და სასწაულ მაახდენს?

ერთ ოჯახში საახალწლო სუფრაზე იცინოდნენ, ბელგიაში შოკოლადი შადრევნები ყოფილაო. თბილისშიც ოცნებობენ შოკოლადი შადრევანზეო. ნატვრი უნარიც რო დაგვკარგია ქართველებსა. რად გვინდა, კაცო, ამდენი შადრევანი? შალიკო გამოვიდა, ნათელაშვილი, წყლი ფული ძვირდება, შადრევნები ხარჯზეო. სასამართლოში მივდივარ, არ შავარჩენ საააკაშვილ ამ „საახალწლო საჩუქარსაო“. რა შოკოლადი, რი შოკოლადი! არ გვინდა, არა, წყლი ფულ შოკოლადი ფულიც დაემატება და სულ გაგვყვლეფავენო;

ვუსმენდი მათ და ვფიქრობდი ჩემთვინა:

„თუ ადრე სოფლი მამასახლისები ყვლეფდნენ ხალხსა, ახლა გადასახადებ ვერ აუდიან. არ გადაიხდი და ლამურასავით ბნელში უნდა იჯდე, შუქ არ გალირსებენ, კაცო... ე, ორი გროში პენსია კი რაი ეყოფა: შუქ, წყალ, ექიმ თუ წამლებსა?...“

ამიტომაც აღარ ვიცი, რა ვუთხრა მათ და რით ვანუგეშო, რაი მოგიტანთ ახალი წელი, – ჰაა? დავპირდე, ბეღელში პურსა და ქვევრში ღვინოი არ გამოგილევთ-მეთქი? პირუტყვსა და სარჩო-საბადებელ გიმრავლებთ-მეთქი? რო არ ვიცი, აუსრულდებათ თუ არა, ამ ჭკუამხიარულა კლაუსებივით ხო არ ვაჭარტალებ ენასა?

მე ხო თოვლი პაპა ვარ, ჩემ სიტყვაი გატეხა არა შვენის. ჩემ ხონჩაი კი იმედი და სიყვარული მოაქვ. უფლება არა მაქვ, ეს იმედი დაუკარგო ჩემ ხალხსა. ამიტომაც ვეტყვი: **ჩვენი ღონე, საღსარი ცხოვრებისა ისევ ჩვენ ხელთაა. გადავრჩით იმიტომ, რომ ერთად ვიყავით მეფე, თავადი და გლეხი... ერთიანობამ მოგვიყვანა აქამომდე, ერთმანეთის გატანამ და მხარში დგომამ. ამ გზით გვევლოი და პრეზიდენტი რო ნატრობს, ჩვენი ბედი თბილისში გადაწყდებაო, თუ ერთად ვიდგებით, მართლა ასე მოხდება, გადამთიელი კი არ გადაგვიწყვეტს პრობლემებ, ქართველი იზრუნებს საქართველოი ბედზე...**

ამაი გისურვებთ მეც, ქიზიყელი თოვლი პაპა!...

„ჩაიწერა“
**თამარ შაიშმელაშვილმა**

● *თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,*
*ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



## ხსოვნა

# ჯუმბერ თითმერია



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მძიმე, მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი **ჯუმბერ იპოლიტეს ძე თითმერია,** რომელიც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე ქართული სალიტერატურო ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და მუდამ წონად, მართალ სიტყვას ამბობდა.

დაიბადა 1939 წლის 20 თებერვალს ქალაქ ზუგდიდში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1957-1962 წლებში, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე, ხოლო 1963-65 წლებში — ასპირანტურაში.

სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორის მოადგილედ, ალმანახ „კრიტიკისა" და ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" პასუხისმგებელ მდივნად, საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილედ, გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის" მთავარ რედაქტორად და ყველგან სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი, ყოველთვის სიკეთითა და პატიოსნებით მუხტავდა კოლეგებს.

ქართველი მკითხველი ჯუმბერ თითმერიას იცნობდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ჩინებულ კრიტიკოსს, ქართული ლიტერატურის სერიოზულ, დაკვირვებულ, გემოვნებიან მკვლევარს. მისი კრიტიკული ნააზრევი გამოირჩევა ფართო თვალსაწიერით, გემოვნებით, პრობლემათა აქტუალობით. ამის დასტურია მისი კრიტიკული წერილების კრებულები, რომლებშიც განხილულია, როგორც XIX-XX საუკუნის კლასიკოსთა, ისე თანამედროვე მწერლების გამოჩენილი წარმომადგენლების შემოქმედება.

შესანიშნავი მთარგმნელი იყო. სწორედ მისი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ისეთ შემოქმედთა ნაწარმოებებს, როგორნიც არიან სე-სიონ-მონი და ნი ძიო, ლევ ტოლსტოი და ლეონარდო და ვინჩი, ვასილ შუქშინი და ვასილ ბელოვი, არტაშეს ქილანთარიანი და ეჟი ადიგევი, ახმედხან აბუ-ბაქარი და სალვადორ დალი... ამ თარგმანებში შენარჩუნებულია ავტორთა სტილი და მხატვრული აზროვნების თავისებურება.

ჯუმბერ თითმერიამ შეადგინა და გამოსცა ისეთი ფუნდამენტური კრებულები, როგორიცაა „ილიას სამრეკლო", „აკაკის სამრეკლო", „იაკობის სამრეკლო"... გამოსაცემად მომზადებულ ჰქონდა „ვაჟას სამრეკლო".

პრინციპულობა, პირუთვნელობა მის პიროვნებაში ჰარმონიულად ერწყმოდა სიკეთეს, მოყვასისადმი თანადგომის უნარს, უანგარობას. ჩვენს მკაცრსა და დაუნდობელ ეპოქაში ყოველივე ეს მის პიროვნებას საოცარ მომხიბვლელობას ანიჭებდა. სულ ახლახან იყო: რევაზ ინანიშვილის საიუბილეო დღეები მართლაც დაამშვენა ბატონი ჯუმბერის მიერ გამოცემულმა სამმა წიგნმა და გაზეთმა. როგორ უხაროდა ამ დიდი საქმის გასრულება, თითქოს რევაზ ინანიშვილის ლამაზ სულთან ლამაზად შეხვედრისათვის ემზადებაო.

XX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში სამუდამოდ ჩაიწერება ჯუმბერ თითმერიას, მშვენიერი ესეისტისა და კრიტიკოსის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის, დიდებული ქართველის, უმშვენიერესი ქართული ოჯახის მამის სახელი.

**საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი**

## ხსოვნა

# გამოთხოვება დიმიტრი (დიმა) იანკოვსკისთან

განსაკუთრებული მონდომებით ელოდებოდა 2007 წლის 21 აპრილს. ამ დღეს **დიმა იანკოვსკი** 70 წლისა გახდებოდა. ელოდებოდა არა იმიტომ, რომ იუბილის გადახდა იყო თვითმიზანი. მას მეგობრებისა და ახლობლების ერთად შეკრების მიზეზი ჰქონდა. მათთან ყოფნა და აზრების გაზიარება კი სიცოცხლის ბოლომდე მისი ყველაზე დიდი ბედნიერება გახლდათ. ცხოვრებაში მუდმივად პოულობდა მეგობრებთან საინტერესო საკითხებზე სასაუბროს, რადგან უაღრესად განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ხდებოდა მაშინ, თუ ეს საუბარი ეხებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის, ქართული სულიერების ამაღლებისთვის თავგანწირულ პიროვნებას, საქართველოს კათალიკოს პატრიარქს კირიონ მეორეს. მასზე ერთი წიგნი — „ეპისკოპოსი კირიონი" უკვე დაბეჭდილი და გამოცემული ჰქონდა, მეორეზე ისევ აგრძელებდა მუშაობას.



საქართველოსთვის გულანთებული პიროვნება იყო, რომლისთვისაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე, მის მომავალზე ზრუნვა უპირველეს მოვალეობას შეადგენდა. წარმოშობით პოლონელი სისხლით ხორცამდე ქართველი და ქართული საქმისთვის თავდადებული დიმა იანკოვსკი 21 აპრილს ვეღარ მოესწრო.

ის ისევე უჩუმრად და უპრეტენზიოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორიც თავად იყო.

ცხოვრების საკმაოდ დიდი გზა გაიარა — თბილისის 33-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ არ აკლდა არც რიგით და არც ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობა. ყველგან საქმისადმი ერთგულებითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, რისი შედეგიც იყო სიგელები, მედალი „შრომითი მამაცობისათვის" და „ღირსების ორდენი". ბოლოს საქართველოს მეოთხე მოწვევის პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს.

საზოგადოებაში მუდამ შემრიგებლის როლს ასრულებდა. ამისთვის იყენებდა საქართველოს პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირის მთავარ კომიტეტს, საქართველოს ეროვნული საზოგადოების წარმომადგენლობით სათათბიროს, საქართველოს რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების გამგეობას, რომელთა წევრიც თავად გახლდათ და სხვადასხვა დროს. ამასთან, მორიდებული იყო, თავშეკავებული და საკუთარი გულისტკივილს თავზე არავის ახვევდა.

ის, რაც მან უკვე შექმნა, ერთი მოკვდავისთვის სრულიად საკმარისია, თუმცა გულდასაწყვეტია, რომ ვერ მოასწრო კიდევ ბევრი, რის კვლევასა და დაწერასაც აპირებდა.

ძალიან დაგვწყვიტა გული ამ ქვეყნიდან თავისი უცაბედი წასვლით, თუმცა გვწამს, რომ მშობლიური ქართული მიწა დიმა იანკოვსკის მადლიერებით ჩაიკრავს გულში და ნათელში ამყოფებს მის სულს. ჩვენ კი, მისი მეგობრები ყოველთვის პატივს მივაგებთ მის ხსოვნას, ვუთანაგრძნობთ დიმას ოჯახს და 21 აპრილს ყვავილებით შევამკობთ მის ღვთითკურთხეულ საფლავს.

**მეგობრები**

## გახსენება

# ვანიკო (ივანე) სიხარულიძე



12 იანვარს 3 წელი სრულდება, ჩემო საყვარელო შვილო ტუკნა, რაც ჩემთან არა ხარ, სინანულით და ცრემლებით ვატარებ დღეებს.

შემოგევლოს შენი დედა, ჩემო საყვარელო, სულზე ტკბილო, მენატრები, მენატრები, დედიკო.

შენგან გულდამწვარ დედასთან ერთად უზომოდ ენატრები ოჯახს: ძმას ბიძინას, რძალს ირინას, ძმისწულებს გიორგის, ნუციკოს. 15 ივლისს შენი დაბადების დღეა, უდანაშაულო სიყვარულით სავსე ვაჟკაცო, ნუთუ 40 წელი იკმარე. ღმერთს ვთხოვ, ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული. მსუბუქი იყოს შენ გულზე დაყრილი მიწა, ვტირი უსასრულოდ.

ისღა დამრჩენია, შვილო ტუკნა, ვილოცო შენთვის, საფლავზე სანთლები დაგინთო, ყვავილები მოგიტანო.

**დედა და ოჯახი**

## ◉ დედაქალაქი

# ძველი თბილისი სავიზიტო ბარათი გახდება

**დედაქალაქის ახალი რაიონი ძველი თბილისის უბანი უახლოეს პერიოდში თბილისის სავიზიტო ბარათი გახდება.**

ამის შესახებ თბილისის პირველმა ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა განაცხადა, რომელმაც გუშინ ჟურნალისტებს ახლადშექმნილი რაიონის გამგებელი ლაშა ფურცხვანიძე წარუდგინა.



ახალი რაიონის გამგებელ ლაშა ფურცხვანიძის განცხადებით, ძველი თბილისის უბნის სარეაბილიტაციოდ და მიმდინარე გეგმიური პროგრამების განსახორციელებლად ქალაქის ბიუჯეტიდან 34 მილიონი ლარია გამოყოფილი.

როგორც გამგებელმა განმარტა, 34 მილიონი ლარიდან 10 მილიონი გეგმიური სოციალური პროგრამებისა და საბავშვო ბაღებისთვის დაიხარჯება. დანარჩენი 24 მილიონი ლარი კი გრძელვადიან პროექტებს მოხმარდება.

გარდა ამისა, 24 მლნ ლარით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობები დაფინანსდება. სამშენებლო პროექტი მაღალსართულიანი სახლების მშენებლობას არ ითვალისწინებს, რათა ახალი ნაგებობები თბილისურ ლანდშაფტში სინთეზურად ჩაჯდეს.

**ინტერპრესნიუსი**

---

დავით გურგენიძე ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი მამულიშვილის, „თბილმეტრომშენის" ყოფილი უფროსის

უშანგი გოჯიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ალექსანდრე ფოცხიშვილი და ვენერა რუსიძე ოჯახით იუწყებიან პროფესორ

გიორგი ჭულუხაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რეჟისორ-დოკუმენტალისტი

ოთარ გურგენიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ლუიზა, ინეზა ჭიჭინაძეები, შვილიშვილები მაია, ქეთი დევდარიანები, ფიქრია ქავთარაძე, სიძეები დავით ანანიაშვილი, იოსებ ორჯონიკიძე, მევლუდ ჯანგიძე, შვილთაშვილები ფარნაოზ, თამარ ანანიაშვილები, ეკა, ნიკა ორჯონიკიძეები, ვერიკო, მიშიკო ჯანგიძეები და შვილთაშვილიშვილები, მძახლები ფარნაოზ, ლამარა ანანიაშვილები, ევგენია ორჯონიკიძე, შურა ჯანგიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვარვარა (ბაბულია) სოლომონის ასული ალანია

პანაშვიდი 7, 8 01, 16 სთ. გამოსვენება 9 01, 14 სთ. მისამართი: აბაშიძის ქუჩა №37, I სადარბაზო, II სართული.

---

ლამარა მეფარიანი, ფარნა ანანიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან მძახლის

ბარბარე სოლომონის ასულ ალანიას

გარდაცვალებას.

---

შვილიშვილი მაია დევდარიანი, სიძე დავით ანანიაშვილი, შვილთაშვილები ფარნაოზ, თამარ ანანიაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ბარბარე სოლომონის ასულ ალანიას

გარდაცვალებას.

---

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორ-მულტიპლიკატორი

მერაბ სარალიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 7,8 01, 16 სთ. დაკრძალვა 9 I, 14 სთ. იოსელიანის 37, I, სადარბაზო, მე-16 სართ.

---

**შპს „გზა-98" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: მესტიის რაიონი, სოფ. ხაიში.**

№ 2. შაბათი, 6 იანვარი, 2007 წელი.

**მსოფლიო დიზაინერთა კარნახით, შეიძლება ითქვას, ქართველებს გაუმართლათ, რადგან მოდის სამყაროში მათმა სასურველმა შავმა ფერმა და მუქმა ტონალობამ ფერადოვნება განდევნა**





### დღესასწაული

## 7 იანვარი — ხორციელად შობა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



რომის იმპერატორმა გამოსცა ბრძანება საყოველთაო აღწერისა. ყველა ებრაელი თავისი წინაპრის ქალაქში უნდა ჩაწერილიყო.

იოსები და მარიამი დავით მეფის ტომისგან იყვნენ და ქალაქ ბეთლემში გაემგზავრნენ. იქ ღამის გასათევი ადგილი არ იყო და გამოქვაბულს შეაფარეს თავი. ეს ადგილი უამინდობის დროს პირუტყვთა სადგომი იყო. აქ იშვა მაცხოვარი. ღვთისმშობელმა სახვევებში შეახვია ყრმა და ბაგაზე მიაწვინა.

**იესო ქრისტეს ხორციელად შობას განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს მართლმადიდებლური სამყარო, ვინაიდან აღსრულდა უფლის დანაპირები კაცთა მიმართ, რომ მოუვლენდა მხსნელს სოფლისასა.**

მაცხოვარი სოფლისა იესო ქრისტე ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან იშვა იუდეის ბეთლემში რომის იმპერატორის ავგუსტუს ოქტავიანეს დროს. მთელი მსოფლიოს წარმართულ რელიგიათა მსახურნი თუ ფილოსოფოსნი მოუთმენლად ელოდნენ მხსნელის მოვლინებას ამ ქვეყნად, რათა ცოდვის ტყვეობაში ჩაძირული სამყარო ნათლობის ემბაზში განბანილი სამუდამოდ შერთვოდა ჭეშმარიტ ღმერთს.

ქრისტეს შობის დღეებში მახლობელ სოფელში, ცხვრის მწყემსებს ანგელოზთა დასმა ღთაებრივი გალობით ამცნო უფლის დაბადება: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. მწყემსები გამოქვაბულისკენ გაემართნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ ჩვილი და მისი მშობლებისთვის ეხარებინათ, რაც იხილეს.

უფლის თაყვანსაცემად აღმოსავლეთიდან გამოემგზავრნენ მოგვებიც. განგების ნებით, მოგვები ბეთლემს ეწვივნენ და იხილეს იესო თავის ხორციელ მშობლებთან ერთად. მათ თაყვანი სცეს უფალს და შესწირეს ძღვენი — ოქრო, გუნდრუკი და მური.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

### მოდა

## „ღორი“ სადა ფერებს მოიხდენს

**რას გვპირდება ახალი, 2007 წლის მოდა? უპირველესად, ფერთა სისადავეს, რაც ალბათ, ერთფეროვანმა წითელი ღორის წელიწადმაც განაპირობა. მოდის სამყაროს წამყვანი დიზაინერები ამჯერად, ფერთა სიუხვესა და გადატვირთულ მოდელებზე უარს ამბობენ.**

მსოფლიო დიზაინერთა კარნახით, შეიძლება ითქვას, ქართველებს გაუმართლათ, რადგან მოდის სამყაროში მათმა სასურველმა შავმა ფერმა და მუქმა ტონალობამ ფერადოვნება განდევნა.

როგორ უნდა შევიმოსოთ ღორის წელიწადს? აი, რას გვირჩევენ მაღალი მოდის კანონმდებლები.

ახალი წლის კოლექციები რაიმე განსაკუთრებული ნიშნით არ გამოირჩევიან. მათი ძირითადი შტრიხი სისადავეა, ანუ წითელი, თეთრი და შავი, რაც მოდის უკანასკნელი გამოძახილია. მაგალითად, კარლ ლაგერფელდის შავი და თხელი, ნახევრად გამჭვირვალე კაბა, ჯორჯიო არმანის ნაცრისფერი მუხლსქვემოთ, წელში გამოყვანილი მანტო და პოლინის ოთხკუთხედცხვირიანი ჩექმის ერთობლიობა ქმნის დღევანდელი ზამთრის მოდას.

ახალი წლისთვის განსაკუთრებული ფანტაზიით გამორჩეულმა ტომ ფორდმა გუჩის სამოდელო სახლი კლასიკური მოდელებით წარმოადგინა და ულამაზესმა ნამუშევრებმა მისი (გუჩის სახლისძ) სტილი, შარშანდელისგან განსხვავებით, დაიცვა.

კვლავ აქტუალურია დიდი დეკოლტე, სხეულზე მომდგარი ბლუზონები, რომელიც წელს აწვრილებს და ქალურ სილუეტთან აახლოებს. მოდურია, აბრეშუმის, შიფონის, ხავერდის ქსოვილებისგან შექმნილი ტანსაცმელი. აგრეთვე, ყაისნაღით მოქსოვილი შარფები, რომლის ტანსაცმელზე მიზანმიმართულად გამოყენება თქვენს ჩაცმულობას ხიბლსა და ამასთანავე, მოდურობას შემატებს.







ატლასის მსუბუქად დათბილული პალტოები რბილი ფულესა და ტვიდის ბეწვეულით გაწყობილმა პალტოებმა შეცვალა.

წლევანდელი, ახალი წლის მოდელები სოფი ლორენის, ბრიჯიტ ბარდოს, ჯინა ლოლობრიჯიდას სტილსაც მოგვაგონებს, — წელში ჩამჯდარი, გამოყვანილი და ისეთი ქსოვილებისგან შექმნილი, რომლებიც სხეულზეა მომდგარი და მის ყოველ ნაკვთს მკაფიოდ და მიმზიდველად წარმოაჩენს.

ქალურობის ხაზგასასმელად და უპირველესად, ელეგანტურობისთვის, მუხლქვემოთ (მიდიძ კაბაა აქტუალური.

წამყვანი დიზაინერები, ამჯერად, რუსული, სლავური გარეგნობის, ქერა მოდელებს ანიჭებენ უპირატესობას და მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის ქალების მოდური შავი და სხვა სადა ფერების შერწყმა უფრო ეფექტიანია და ლამაზ ჰარმონიულ გამას ქმნის.

მოდელიერები, ამჯერად, დიდი ზომის საკვოიაჟის სტილის ხელჩანთებს გვთავაზობენ — თასმებით, თვლებით, ბალთებით მორთულ პატარა ხელჩანთები კი წარსულმა ჩაიბარა.

ფეხსაცმელები, ძირითადად, მაღალქუსლიანია, ოთხკუთხედცხვირიანი, პიკანტურად ითვლება ელეგანტური მაღალყელიანი ჩექმები, რომელსაც ნებისმიერ ქალს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს.

წლევანდელი სისადავე პარფიუმერიის სისადავეს არ გულისხმობს, კვლავ მნიშვნელოვანია მაკიაჟი— თვალების, ტუჩების შეღებვა და მათი მკაფიოდ წარმოჩენა.

ღორის წელიწადის მოდას, ბუნებრივია, ქართველი დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძეც არ ჩამორჩა, მისი მაღაზია-სალონი მომხმარებელს საახალწლოდ ბევრ სიახლეს სთავაზობს. მოდური ფერები და ძვირფასი ქსოვილები ქართველ დიზაინერს ზამთრის კოლექციისთვის არ დაუშურებია — სხვადასხვა სტილის პალტოები, ქვედა ბოლოები, ბლუზონები, საღამოს კაბები — აი, ის ძირითადი კოსტიუმები, რომელთა შეძენა ყველასთვის ხელსაყრელია.

ასე რომ, არჩევანი მრავალფეროვანია, მსოფლიო დიზაინერთა კარნახით და საკუთარი ფანტაზიის და გემოვნების წყალობით შეგიძლიათ ახალი — 2007 წლის ჩაცმის სტილი ადვილად დაიცვათ და მოდურადაც გამოიყურებოდეთ.

**ლელა დონაძე**

### ანეკდოტები

— ეს რა არის, სასწორის თავზე სარკე რომ დაგიმაგრებია? — ეკითხება ძმაკაცი მიხოს.

— როგორ გეტყობა, რომ ვერც ვაჭრობაში ერკვევი და ვერც ქალებში. — თუ ქალს სარკეში ჩახედვა-წაკეკლუცების საშუალებას მისცემ, იგი სასწორის ისარს დააკვირდება?



* * *

— მიხო, რად უთხარი მაროს, მახინჯი ხარო? — საყვედურობს დედა. — ვერ ხედავ, რა გულამოსკვნილი ტირის? მიდი და ბოდიში მოუხადე!

მიხოც მიდის უმცროს დასთან და ეუბნება:

— მარო, მაპატიე, რომ ასეთი მახინჯი ხარ.

* * *

კორდებალეტის აღშფოთებული მსახიობი ქალი თეატრის დირექტორს უყვირის:

— რაღაც მათხოვრული 500 მანეთის გადახდაზე მეუბნებით უარს, მე კი გაცილებით ძვირი ვღირვარ!

— კი, მაგრამ არა სცენაზე!

* * *

წლეულს ჩვენი ოჯახის კეთილდღეობა ორჯერ გაიზარდა. თუ ადრე ერთი ჩაის პაკეტით ორნი ვსარგებლობდით, ახლა თითოეულს ცალ-ცალკე გვაქვს.

### გვემრავლოს!

## ცირა მესამე ვაჟის დედა გახდა



**ჩემი დედისერთა ქალიშვილი მუდამ დედმამიშვილებს იყო დანატრებული. მრავლად არც ბიძაშვილ-მამიდაშვილები თუ დეიდაშვილები ჰყავს. ამ დღეებში ცირა მესამე ვაჟის დედა გახდა.** ლევანს და ბესიკს დათოც შეემატა. უკვე სამი შვილიშვილით ვხარობ. თქვენი გაზეთი ნათესავმა ჩამომიტანა ქუთაისში, მომეწონა, რომ ოჯახების გამრავლება გახარებთ, მეც გაზეთის კვალს გამოვყევი და ამ ბარათს ქუთაისიდან ნათესავის ხელით გიგზავნით, იმედი მაქვს, დაბეჭდავთ.

ჩემი ქალიშვილი ამბობს: მიხარია, რომ მრავალშვილიანი დედა გავხდი, სამი ძმა თავს არავის დააჩაგვრინებს, გაზეთის იმ ნომერს, სადაც ჩემი მესამე შვილის დაბადების ფაქტს აღნიშნავენ, სასოებით შევინახავ.

**ვულოცავთ!**

### კადრი



**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.